



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის
საქმიანობის 2020 წლის
ენგურში და
2021 წლის
სამოქმედო გეგმა

თბილისი
2021

1. კანონშემოქმედება
2. სეკარლამენტო კონტროლი
3. სეგერეო ურთიერთობები
4. საქართველოს პარლამენტის ეკერპტი
5. საქართველოს პარლამენტის 2021 წლის სამოქმედო გეგმა

1. კანონმდებლობა

პანდემიის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტი აქტიურად ასრულებდა თავის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას – ახორციელებდა კანონმდებლობას. საანგარიშო პერიოდში გაიმართა 51 პლენარული სხდომა. მიღებულ იქნა 515 საქართველოს კანონი; მათ შორის, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი სუბიექტების ინიციატივით წარმოდგენილი იყო 146 საქართველოს კანონის პროექტი, საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით – 367 საქართველოს კანონის პროექტი, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით – 2 საქართველოს კანონის პროექტი.

გემოხსენებული კანონებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- ▶ **საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები:** საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებამ უზრუნველყო საპარლამენტო არჩევნების არსებითად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა. ამ ცვლილების შედეგად 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარლამენტის 120 წევრი არჩეულ იქნა პროპორციული წესით, ხოლო 30 წევრი – მაჟორიტარული წესით. ამასთანავე, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და თანამდევ კანონებში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეფუძნება ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციებს და რომლებითაც დაიხვეწა საარჩევნო საკითხების მომწესრიგებელი ნორმები, შემოღებულ იქნა პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების ახალი მოდელი, აგრეთვე აღმოიფხვრა კანონმდებლობაში არსებული გარკვეული ხარვეზები. ეს ხელს უწყობს არჩევნების თავისუფალ, სამართლიან და თანასწორ გარემოში ჩატარებას.
- ▶ **ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) წინააღმდეგ ბრძოლისკენ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები:** ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს ხელისუფლების ორგანოები და შესაბამისი დარგის სპეციალისტები განუწყვეტლივ ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს და ორიენტირებული არიან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია საჭირო საკანონმდებლო ნორმების დროულად მიღება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით დადგინდა პასუხისმგებლობა იზოლაციის ან/და კარან-

ტინის წესის დარღვევისათვის, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისა და პირბადის ტარების წესის დარღვევისათვის. ეს საკანონმდებლო ცვლილებები ემსახურება ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) გავრცელების პრევენციასა და შემცირებას, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას და სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ სხვა ღონისძიებებთან ერთად ქმნის COVID-19-ის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო, ეფექტიან მექანიზმს.

- ▶ **ახალი კანონი – „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი:** პარლამენტის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ ქვეყანაში შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის სამართლებრივი მონესრიგებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია. კანონის მიღებით მოხდა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან“. კანონის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა დაფუძნებულია სოციალური მოდელის მიდგომაზე, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეალური საჭიროებების განსაზღვრასა და შესაბამის რეაგირებაზეა ორიენტირებული. კანონი განმარტავს „უნივერსალურ დიზაინს“ და „გონივრული მისადაგების“ პრინციპს, ასევე ითვალისწინებს „უესტური ენის“ განმარტებას და ხაზგასმით აღნიშნავს ამ ენის სახელმწიფოს მიერ აღიარების ვალდებულებას, ადგენს სპეციალური მოსარჩელის ინსტიტუტს, რის საფუძველზედაც სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციები ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, უშუალო და პირდაპირი ზიანის არარსებობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას შეძლებენ. კანონის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისთვის განისაზღვრება საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტების უფლებები და მოვალეობები. ამასთანავე, კანონი ადგენს საფუძველს, რათა შეიქმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციისთვის პასუხისმგებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტი.
- ▶ **„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი და „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი:** „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონით ამნისტია გავრცელდა დანაშაულთა

ფართო წრეზე და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლდნენ ზოგიერთი დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდებული და მსჯავრდებული პირები, ასევე დანიშნული სასჯელი შეუმცირდათ ან უფრო მსუბუქი სასჯელით შეეცვალათ ცალკეული დანაშაულების ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირებს. „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით კი დგომისა და საგზაო მოძრაობის წესების დაუცველობისათვის ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალების პარკირების წესების დარღვევისათვის დადებული ადმინისტრაციული სახდელისგან – ჯარიმისგან და შესაბამისი საურავის აღუსრულებელი ნაწილისგან გათავისუფლდნენ ის პირები, რომლებმაც ეს ქმედება 2018 წლის 10 აპრილამდე ჩაიდინეს.

- ▶ **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელების პრევენციისთვის შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები:** საკანონმდებლო ცვლილებების ერთი ნაწილით დადგინდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დარღვევის ამსახველი ელექტრონული რუკის ან მისი ბეჭდური გამოცემის, აგრეთვე ასეთი გამოსახულების შემცველი სხვა საგნის გამოყენებისთვის, საქართველოში შემოტანისთვის, გადაზიდვისთვის ან საქართველოდან გატანისთვის, მეორე ნაწილით კი განისაზღვრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დარღვევის ამსახველი ელექტრონული რუკის ან მისი ბეჭდური გამოცემის, აგრეთვე ასეთი გამოსახულების შემცველი სხვა საგნის დამზადებისთვის, წარმოებისთვის, რეკლამირებისთვის, გამოყენებისთვის, საქართველოში შემოტანისთვის, გადაზიდვისთვის, საქართველოდან გატანისთვის ან რეალიზაციისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელების მიზნით.
- ▶ **ახალი კანონი – „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი:** ქვეყანაში დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი კომიტეტის თარგმლებში შემუშავებული საკანონმდებლო პაკეტი სახელმწიფოს დასაქმების პოლიტიკაზე სისტემური ხედვის დოკუმენტია. აღნიშნული კანონით გათვალისწინებულია დასაქმების მაძიებელთათვის მათზე მორგებული მომსახურების დანერგვა, კვალიფიკაციიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე შანსების შეფასება და შესაბამისი ალტერნატივების შეთავაზება. საკანონმდებლო პაკეტში წარმოდგენილია დასაქმების მაძიებელ-

თათვის შეთავაზებული არჩევანის კლასიფიკაცია: შესაბამისი სამუშაო ადგილი, პროფესიული სასწავლებელი და შემდეგ – შესაბამისი სამუშაო ადგილი, ანაზღაურებადი სტაჟირება და ხელფასების სუბსიდირება, ბიზნესის წამოწყების ყველა არსებული სახელმწიფო პროგრამა, საზღვარგარეთ დასაქმება, სკოლის მოსწავლეებისთვის – კარიერული დაგეგმვა. ამასთანავე, საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს დასაქმების აქტიური პოლიტიკის ანალიზისა და დაგეგმვისათვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმის შექმნას, ასევე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმის დანერგვას. აღნიშნული კანონით გათვალისწინებულია დასაქმების აქტიური პოლიტიკის ანალიზისა და დაგეგმვაში, აგრეთვე გადამზადების პროგრამების შემუშავებაში ბიზნესის ჩართულობის გაძლიერება.

- ▶ **ძალადობის მსხვერპლის დაცვის გაძლიერებაზე, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისგან არასრულწლოვანის დაცვის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული საკანონმდებლო ცვლილებები:** საკანონმდებლო ცვლილებების ერთი ნაწილი ითვალისწინებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოძალადისაგან მსხვერპლის დაცვის მიზნით მოძალადეზე ელექტრონული ზედამხედველობის დანერგვას, მეორე ნაწილი კი – სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა დანაშაულის არასრულწლოვანის მიმართ ჩადენისათვის პასუხისმგებლობის გამკაცრებას.
- ▶ **ახალი კანონი – საქართველოს ტყის კოდექსი:** კოდექსი ადგენს საქართველოს ტყეებზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესს და აწესრიგებს ტყის აღრიცხვისა და დაგეგმვის საკითხებს, ასევე აწესრიგებს ტყით საერთო სარგებლობისა და სპეციალური სარგებლობის საკითხებს, ითვალისწინებს ტყის დაცვის, აღდგენა-გაშენებისა და მოვლის ღონისძიებებს, აგრეთვე ტყისა და მისი რესურსების მნიშვნელობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას და ტყის მართვის შესახებ გადამწყვეტილების მიღებისას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას. კოდექსში მოცემული ტყის მართვის ძირითადი პრინციპები და სამართლებრივი ინსტრუმენტები საფუძვლად დაედება ტყის მდგრად მართვას.
- ▶ **„აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონი:** კანონი მოიცავს აკვაკულტურისა და მარიკულტურის პროდუქციის წარმოებას – ბუნებრივ და ხელოვნურ წყალსატევებში თევზისა და ზღვის პროდუქტების ხელოვნურად მოშე-

ნებას, წარმოებასა და რეალიზაციას. ქვეყანაში არსებული წყლის რესურსები, სადაც 26 ათასზე მეტი მდინარე, 860-მდე ტბა და 12 წყალსაცავია, ამის უამრავ შესაძლებლობას იძლევა. კანონი არეგულირებს ურთიერთობებს აკვაკულტურის სფეროში, შემოაქვს შესაბამისი გადასახადები და ითვალისწინებს ამ სფეროში დასაქმებული მენარმეების ინტერესებს. მათ მიეცემათ ორი წლის ვადა, რომ ხელახლა დარეგისტრირდნენ და თავიანთი საქმიანობა გააგრძელონ, 2024 წლამდე კი ისინი ყველა გადასახადისაგან გათავისუფლდებიან. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ინარმოებს ერთი თანჯრის პრინციპით მომსახურება, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ სფეროთი დაინტერესებულ ყველა პირს დროულად და მაქსიმალურად კოორდინირებულად გაეწევა დახმარება. აღსანიშნავია, რომ ექსტენციური აკვაკულტურის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კოოპერატივებსა და ადგილობრივ მოსახლეობას. იგი მათთვის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის წყარო იქნება. ამასთანავე, აკვაკულტურა, გარდა თავად თევზის პროდუქტების წარმოებისა, ეკოტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდება.

- **ციფრული მმართველობისა და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები:** საკანონმდებლო ცვლილებების ერთი ნაწილით შეიქმნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ციფრული მმართველობის სააგენტო და განისაზღვრა მისი უფლებამოსილებები. ციფრული მმართველობის სააგენტომ ჩაანაცვლა მომიჯნავე ფუნქციების მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პი სახელმწიფო ინტერესებისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

სხვადასხვა მიმართულებით საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა განახორციელეს შემდეგი ძირითადი აქტივობები:

აბრარულ საკითხთა კომიტეტი

COVID-19-ის პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა აგრარულ საკითხთა კომიტეტის საქმიანობაზედაც მოახდინა გავლენა. საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა კანონშემოქმედებითი და საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების მიზნით გამართა 13 სხდომა. განხილულ იქნა 32 საკითხი; მათ შორის, კომიტეტმა განიხილა საქართველოს პარლამენტში ნდობის გამო-

საცხადებლად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა (სამთავრობო პროგრამა 2021–2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“), 17 კანონშემოქმედებითი და 3 რატიფიკაციისათვის წარმოდგენილი დოკუმენტი, 5 საორგანიზაციო საკითხი, ასევე საზედამხედველო საქმიანობის თარგვლებში მოისმინა 6 ინფორმაცია.

აგრარულ საკითხთა კომიტეტი აქტიურად მონაწილეობდა პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობაში. ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგ კანონპროექტებზე:

- საქართველოს კანონის პროექტი „აგროტურიზმის შესახებ“ და მისგან გამომდინარე საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი – აგრარულ საკითხთა კომიტეტი; კანონის პროექტს იხილავენ საქართველოს პარლამენტის კომიტეტები). კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია სოფლის ალტერნატიული ეკონომიკური განვითარების და სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციის საჭიროებით, რაც სოფლის მოსახლეობისთვის ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობებს გაზრდის. კანონპროექტის მიზანია მცირე ფერმერული მეურნეობების მიერ ადგილობრივი პროდუქტის რეალიზაციის ხელშეწყობა. იგი არეგულირებს აგროტურიზმის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, განსაზღვრავს აგროტურისტული საქმიანობისა და აგროტურისტული მეურნეობის კრიტერიუმებს, ადგენს აგროტურიზმის ხელშეწყობის ღონისძიებებს და ამ საქმიანობის განხორციელების ზოგად საფუძვლებს (კანონპროექტი ინიცირებულია).
- საქართველოს კანონის პროექტი „ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების შესახებ“ და მისგან გამომდინარე საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს კანონების პროექტები: „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. კანონპროექტის მიზანია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ქარსაფარი ზოლების აღდგენის, გაშენების, მოვლისა და დაცვის ხელშეწყობა, ქარით გამოწვეული ნიადაგის ეროზიული პროცესების თავიდან აცილება (კანონპროექტი წინასწარი განხილვის მიზნით გადაგზავნილია საქართველოს მთავრობისთვის).

კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონპროექტები:

- საქართველოს კანონის პროექტი „აგროტურიზმის შესახებ“ და მისგან გამომდინარე საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. აისეთის კვლევითმა ინსტიტუტმა (ISET Policy Institute) მოამზადა კანონპროექტის რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ანგარიში. კანონპროექტი წაახალისებს პროდუქტის მიწოდების მოკლე ჯაჭვის შექმნას და ადგილობრივი პროდუქტის ახალი სარეალიზაციო არხების გახსნას, განსაკუთრებით – მცირემიწიანი ფერმერებისთვის.
- საქართველოს კანონის პროექტი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. კანონის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტით ახალი ვადა განისაზღვრა. 2020 წლის 1 იანვრამდე დაფუძნებული, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე კოოპერატივები ვალდებული იქნებიან, 2022 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყონ კოოპერატივების წევრთა რაოდენობის, პაის ოდენობისა და საკუთარი წესდებების კანონთან შესაბამისობა.

კომიტეტის მიერ განხილული კანონპროექტები:

1. აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „აგროტურიზმის შესახებ“ და მისგან გამომდინარე საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.
2. საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც მიზნად ისახავდა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტებას. კომიტეტმა, გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, მხარი დაუჭირა პროექტს.
3. საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული მასალები, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამისი „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2021–2024 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენება „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“. კომიტეტმა, გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა და

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული მასალების გადასამუშავებლად საქართველოს მთავრობისათვის დაბრუნებას.

4. საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და თანამდევ კანონპროექტები. აღნიშნული კანონპროექტით უზრუნველყოფილ იქნა კოდექსის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობა; გასწორდა კოდექსში არსებული ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი ხარვეზები; მოხდა კოდექსის სრულყოფა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა სრული გამიჯვნა და მუნიციპალიტეტებთან დაკავშირებულ სამართლებრივ აქტებში ერთგვაროვანი ტერმინოლოგიის დამკვიდრება. კომიტეტმა მხარი დაუჭირა პროექტს.
5. საქართველოს პარლამენტის წევრების: ნინო წილოსანის, ვახაბერ კუჭავას, სულხან მახათაძის, ოთარ დანელიას, ენძელა მაჭავარიანის, გიორგი გაჩეჩილაძის, კობა ლურსმანაშვილის, ზაზა ხუციშვილისა და პაატა გოგობიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „აკვაკულტურის შესახებ“ და მისგან გამომდინარე კანონპროექტები. აღნიშნული კანონპროექტის მომზადება განპირობებული იყო ქვეყანაში აკვაკულტურის განვითარების მიზნით სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და გარემოს დაცვის აუცილებლობით.

კომიტეტის მიერ განხილული და მხარდაჭერილი საერთაშორისო ხელშეკრულებები /შეთანხმებები:

1. კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი „2014 წლის 21 ნოემბრის „საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (IDA) შორის დაფინანსების ხელშეკრულების (ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტი)“ ცვლილების“ (№07-2/491/9; 17.06.2020) რატიფიცირებას, რომელიც ითვალისწინებდა თავდაპირველი დაფინანსების ხელშეკრულების გარკვეული დებულებების პროექტის დამატებითი სესხის შეთანხმებასთან შესაბამისობას, კერძოდ, პროექტის დახურვის ვადის 2022 წლის 30 სექტემბრამდე გაგრძელებას, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელწოდების დაზუსტებას, პროექტის განმარტებების დებულებების დამატებითი დაფინანსების შეთანხმების დებულებებთან შესაბამისობას.

2. კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი „იაპონიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის „იაპონიის საზღვარგარეთთან თანამშრომლობის მოხალისეთა პროგრამის“ ფარგლებში საქართველოში მოხალისეების გაგზავნის შესახებ“ ნოტების გაცვლის გზით დადებული შეთანხმების (№07-2/435; 13.01.2020) რატიფიცირებას. შეთანხმება ითვალისწინებდა მხარეთა თანამშრომლობას საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მისი რატიფიცირებისა და ძალაში შესვლის შემდეგ, მხარეთა შეთანხმებით, მოხალისეებს შეეძლებათ საქართველოს გაუწიონ დახმარება სოფლის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის, განათლების, სპორტის, ახალგაზრდობის, კულტურისა და საზოგადოებრივი განვითარების სფეროებში.
3. კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი „საქართველოსა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს შორის დაფინანსების შეთანხმების (მერძევეობის დარგის მოდერნიზაცია და ბაზარზე წვდომა: ადაპტაციის კომპონენტი (DiMMAdapt)“ (№07-2/541/9; 13.11.2020) რატიფიცირებას. შეთანხმება ითვალისწინებდა ფერმერთათვის გრანტების გაცემას, საძოვრების მართვის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის გაუმჯობესებას მათი პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, აგრეთვე რძის წარმოების თანამედროვე, ინოვაციური, კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადი და რენტაბელური ტექნოლოგიების დანერგვას.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

2020 წელს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა განიხილა:

- 292 კანონპროექტი – 22 საკანონმდებლო ინიციატივა, მათ შორის: 12 საკანონმდებლო პაკეტი (282 კანონპროექტი) და 10 ცალკე კანონპროექტი. აღნიშნული ინიციატივებიდან 15 წარმოდგენილი იყო პარლამენტის წევრის/წევრთა ჯგუფის, ხოლო 7 – საქართველოს მთავრობის მიერ;
- 2 საკანონმდებლო წინადადება (კომიტეტმა ინიციატორთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებები განიხილა, როგორც წამყვანმა);

- 1 საქართველოს პარლამენტის დადგენილების/რეზოლუციის პროექტი.

განხილული საკანონმდებლო ინიციატივების საერთო რაოდენობიდან კომიტეტმა, როგორც წამყვანმა, განიხილა 4 საკანონმდებლო ინიციატივა, რომლებიც აერთიანებდა 55 კანონპროექტს. აღნიშნული ინიციატივებიდან 2 წარმოდგენილი იყო საქართველოს მთავრობის, ხოლო 2 – პარლამენტის წევრთა ჯგუფის მიერ. საანგარიშო პერიოდში ყველა კანონპროექტი მიღებულ იქნა კანონის სახით. მათ შორის აღსანიშნავია:

- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი. პარლამენტის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, თანამდევ კანონებთან ერთად, ქვეყანაში შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის სამართლებრივი მოწესრიგებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია. აღნიშნული კანონის მიღებით მოხდა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან“. კანონის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა დაფუძნებულია სოციალური მოდელის მიდგომაზე, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეალური საჭიროებების განსაზღვრასა და შესაბამის რეაგირებაზეა ორიენტირებული. კანონი განმარტავს „უნივერსალურ დიზაინს“ და „გონივრული მისადაგების“ პრინციპს, ასევე ითვალისწინებს „ჟესტური ენის“ განმარტებას და ხაზგასმით აღნიშნავს ამ ენის სახელმწიფოს მიერ აღიარების ვალდებულებას, ადგენს სპეციალური მოსარჩელის ინსტიტუტს, რის საფუძველზედაც სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციები ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, უშუალო და პირდაპირი ზიანის არარსებობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას შეძლებენ. კანონის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისთვის განისაზღვრება საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტების უფლებები და მოვალეობები. ამასთანავე, კანონი ადგენს საფუძველს, რათა შეიქმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციისთვის პასუხისმგებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტი.
- ბავშვთა საერთაშორისო არამართლზომიერი გადაადგილების/დაკავების და არასრულწლოვანთან ურთიერთობის უფლების განხორციელების მარეგულირებელი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი. საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი საქართველოს კანონმდებლობის

დახვეწასა და საერთაშორისო ხელშეკრულებების/კონვენციების დებულებებთან ჰარმონიზაციას ემსახურება. ცვლილებათა პაკეტი უზრუნველყოფს არამართლზომიერად გადაადგილებული/დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით სარჩელის შეტანის/განხილვის მატერიალური საფუძვლებისა და საპროცესო წესების გამართულობას. განხორციელებული ცვლილებები ეხება აგრეთვე ბავშვთა არამართლზომიერი გადაადგილების/დაკავების სფეროში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტიანობის გაზრდას ქმედებების კრიმინალიზებისა და იმ ღონისძიებების განსაზღვრის გზით, რომლებიც მიმართულია საქმისწარმოების დაწყებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდში არამართლზომიერად გადაადგილებული/დაკავებული ბავშვის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის თავიდან აცილებისკენ. განხორციელებული ცვლილებებით შესაძლებელი გახდა ბავშვთა საერთაშორისო არამართლზომიერი გადაადგილების/დაკავების და ბავშვთან ურთიერთობის უფლების განხორციელების მომწესრიგებელ კანონმდებლობაში, სხვათა შორის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების სტანდარტის სრულყოფილად დანერგვა.

- ▶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“. კომიტეტის მიერ შემუშავებული და პარლამენტის წევრთა ჯგუფის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილება ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის ვალდებულებას, საქართველოს პარლამენტს ყოველწლიურად წარუდგინოს ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის, მათ შორის, სოციალურ უფლებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების შესრულების თაობაზე.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი

2020 წლის განმავლობაში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა გამართა 23 სხდომა. აღნიშნულ პერიოდში:

- კომიტეტმა წამყვანი კომიტეტის სტატუსით განიხილა 7 კანონპროექტი. მათგან 1 კანონპროექტი იყო კომიტეტის, 1 – საქართველოს პარლამენტის წევრის, ხოლო 5 – საქართველოს მთავრობის ინიციატივა;
- კომიტეტმა სავალდებულო დასკვნის მოსამზადებლად განიხილა 6 კანონპროექტი.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცვლილებებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს შემდეგი კანონპროექტები:

- საქართველოს კანონების პროექტები: „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/472; 15.05.2020). 2020 წლის დასაწყისში ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) გავრცელების აღკვეთის მიზნით საქართველოში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელება შეიზღუდა ყველა დაწესებულებაში, გარდა ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, რომლებსაც საშუალება მიეცათ, შესაძლებლობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესი დისტანციური სწავლების/კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით განხორციელებინათ. არსებული პრობლემის გადასაჭრელად და გამონვევებთან სათანადოდ გასამკლავებლად აუცილებელი გახდა, შექმნილიყო საკანონმდებლო საფუძველი ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ზოგადი და უმაღლესი განათლების მიწოდების დისტანციური ფორმის დანერგვისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოსაცემად. საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა პროფესიული განათლების სფეროშიც, რათა პანდემიის გახანგრძლივების შემთხვევაში პროფესიული განათლების საფეხურზე მყოფი პირები ხანგრძლივად არ აღმოჩენილიყვნენ სასწავლო პროცესის მიღმა. შესაბამისად, შეიქმნა ალტერნატიული მექანიზმი, რომელმაც ამ პირობებში ნაწილობრივ მაინც გახდა ხელმისაწვდომი პროფესიული განათლება. დისტანციურად ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ ის პროგრამები, რომლებშიც ნაკლებად იყო წარმოდგენილი პრაქტიკული კომპონენტი. იმის გათვალისწინებით, რომ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი იყო უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მარეგულირებელი ნორმები, აუცილებელი გახდა ამ საკითხის დამატებითი მოწესრიგებაც. იმავე კანონით განისაზღვრა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ჰქონოდა სამართლებრივი საფუძველი უცხოეთში დისტანციური სწავლების ფორმით მიღებული განათლების აღიარებისათვის.
- საქართველოს კანონის პროექტი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/482; 03.06.2020). ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) პანდემიიდან, აგრეთვე ვირუსის

პრევენციისთვის საჭირო ქმედებებიდან გამომდინარე, განათლების სისტემა დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ონლაინსწავლების პლატფორმა წარმატებით ფუნქციონირებდა, ცხადი გახდა, რომ ოჯახთა გარკვეულ ნაწილს არ ჰქონდა შესაბამისი ტექნიკური საშუალებები და მათთვის ინტერნეტი ხელმისაწვდომი არ იყო. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა ტელესკოლის იდეა, რომელიც 2020 წლის 30 მარტიდან გადაიციმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით და მოსწავლეებს დისტანციური სწავლების თანაბარი ხელმისაწვდომობის საშუალებას აძლევს. აღნიშნული კანონის მიღების შემდეგ საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხი გადაკეთდა საგანმანათლებლო პლატფორმად, რომლის სახელწოდებაცაა „პირველი არხი – განათლება“.

- ▶ საქართველოს კანონის პროექტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/489; 09.09.2020). კანონპროექტი სავალდებულოს ხდის სკოლებში სამედიცინო პუნქტების არსებობას. საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილი იქნება სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და სრულყოფილი განვითარებისათვის სამედიცინო (მათ შორის, ოსიქოლოგიური) დახმარებისა და კვების პუნქტების არსებობა.

ბარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი

2020 წლის განმავლობაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა გამართა 21 სხდომა. საანგარიშო პერიოდში:

- კომიტეტი წამყვანი იყო 55 კანონის პროექტზე;
- კომიტეტმა სავალდებულო დასკვნის მოსამზადებლად განიხილა 59 კანონის პროექტი და 6 საერთაშორისო ხელშეკრულება;
- კომიტეტის მიერ ინიცირებულ იქნა 1 კანონის პროექტი.

კომიტეტის მიერ განხილულ კანონპროექტებს შორის აღსანიშნავია:

- ▶ ახალი კანონი – საქართველოს ტყის კოდექსი (№07-2/313; 20.02.2019). კოდექსი ადგენს საქართველოს ტყეებზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესს და აწესრიგებს ტყის აღრიცხვისა და დაგეგმვის საკითხებს, ასევე აწესრიგებს ტყით საერთო სარგებლობისა და სპეციალური სარგებლობის საკითხებს, ითვალისწინებს ტყის დაცვის, აღდგენა-გაშენებისა და მოვლის ღონისძიებებს, აგრეთვე ტყისა და მისი რესურსების მნიშვნელობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას და ტყის მართვის

შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას. კოდექსში მოცემული ტყის მართვის ძირითადი პრინციპები და სამართლებრივი ინსტრუმენტები საფუძვლად დაედება ტყის მდგრად მართვას.

- საქართველოს კანონი „აკვაკულტურის შესახებ“ (№07-3/430; 29.01.2020). კანონი მოიცავს აკვაკულტურისა და მარიკულტურის პროდუქციის წარმოებას – ბუნებრივ და ხელოვნურ წყალსატევებში თევზისა და ზღვის პროდუქტების ხელოვნურად მოშენებას, წარმოებასა და რეალიზაციას. ქვეყანაში არსებული წყლის რესურსები, სადაც 26 ათასზე მეტი მდინარე, 860-მდე ტბა და 12 წყალსაცავია, ამის უამრავ შესაძლებლობას იძლევა. კანონი არეგულირებს ურთიერთობებს აკვაკულტურის სფეროში, შემოაქვს შესაბამისი გადასახადები და ითვალისწინებს ამ სფეროში დასაქმებული მენარმეების ინტერესებს. მათ მიეცემათ ორი წლის ვადა, რომ ხელახლა დარეგისტრირდნენ და თავიანთი საქმიანობა გააგრძელონ, 2024 წლამდე კი ისინი ყველა გადასახადისაგან გათავისუფლდებიან. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ინარმოებს ერთი ფანჯრის პრინციპით მომსახურება, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ სფეროთი დაინტერესებულ ყველა პირს დროულად და მაქსიმალურად კოორდინირებულად გაეწევა დახმარება. აღსანიშნავია, რომ ექსტენციური აკვაკულტურის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კოოპერატივებსა და ადგილობრივ მოსახლეობას. იგი მათთვის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის წყარო იქნება. ამასთანავე, აკვაკულტურა, გარდა თავად თევზის პროდუქტების წარმოებისა, ეკოტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდება.
- საქართველოს კანონის პროექტი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და თანამდევ კანონპროექტები (№07-2/290; 13.12.2018). „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებით მკაფიოდ განისაზღვრება, რომ შესაძლებელია, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს გარდა, დაცული ტერიტორიის მართვა განახორციელოს სხვა პირმაც, ასევე დადგინდეს წესი დაცული ლანდშაფტების ტერიტორიებზე განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით. ორი კანონის პროექტით იქმნება ორი ახალი დაცული ტერიტორია, კერძოდ, არაგვის დაცული ლანდშაფტი და თრუსოს დაცული ლანდშაფტი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებით თრუსოს დაცული ლანდშაფტისა და არაგვის დაცული ლანდშაფტის მართვის ორგანოებს – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის

მერიასა და ღუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას ენიჭებათ უფლება, მოახდინონ შესაბამისი რეაგირება (შეადგინონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმები) მათი მართვისადმი დაქვემდებარებულ დაცულ ტერიტორიებზე ჩადენილ სამართალდარღვევებზე.

- ▶ საქართველოს კანონის პროექტი „ერუშეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“ (№07-2/451; 20.02.2020). ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე შეიქმნა ახალი დაცული ტერიტორიები – ერუშეთის ეროვნული პარკი, რომლის ფართობი შეადგენს 11 385 ჰექტარს, და ერუშეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (დამხმარე ზონა), რომელიც მდებარეობს ახალციხის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს 9 სოფელს: აბათხევი, მინაძე, მუსხი, პატარა პამაჯი, საძელი, ურაველი, წყალთბილა, ხეოთი. ახალი დაცული ტერიტორიის დაარსებით რეგიონში დაცული და შენარჩუნებული იქნება ბიომრავალფეროვნება, ასევე ხელი შეეწყობა ტურიზმის განვითარებას და თურქეთის რესპუბლიკასთან ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაღრმავებას, ვინაიდან საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული სახელმწიფო საზღვარი ერუშეთის მთიანეთს დაახლოებით ორ თანაბარ ნაწილად ყოფს.
- ▶ საქართველოს კანონის პროექტი „ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/436; 19.02.2020). ცვლილება იქნა შეტანილი ნარჩენების მართვის კოდექსის სხვადასხვანორმაში და გამკაცრდა კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომები, კერძოდ, გაიზარდა ჯარიმები.
- ▶ საქართველოს კანონის პროექტი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/332; 10.04.2019). კანონპროექტით განიმარტა ახალი ტერმინი – „ძირითადი მავნე ნივთიერებები“. მათი ჩამონათვალი სრულად მოიცავს ევროკავშირის დირექტივებით გათვალისწინებულ დამაბინძურებელ ნივთიერებებს (გოგირდის დიოქსიდი, აზოტის დიოქსიდი, აზოტის ოქსიდები, მყარი ნაწილაკები, ტყვია, ბენზოლი, ნახშირბადის მონოქსიდი, ოზონი, დარიშხანი, კადმიუმი, ვერცხლისწყალი, ნიკელი, ბენზაპირენი, მანგანუმის დიოქსიდი). ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს მთელი ტერიტორია დაიყოფა ზონებად და აგლომერაციებად. აგლომერაციები დადგინდება მოსახლეობის რაოდენობის, ხოლო ზონები – ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მიხედვით. თითოეული ზონისა და აგლომერაციისათვის, მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით, შემუშავდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმები და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმები.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა განიხილა 388 კანონპროექტი (გამომდინარე კანონპროექტების ჩათვლით), რომელთაგან 63 კანონპროექტზე კომიტეტი იყო წამყვანი, ხოლო 325 კანონპროექტზე კომიტეტის დასკვნა სავალდებულო იყო.

კომიტეტმა შეისწავლა საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი 28 საერთაშორისო ხელშეკრულება; მათ შორის, 3 საერთაშორისო ხელშეკრულებაზე კომიტეტი იყო წამყვანი. კომიტეტმა განიხილა აგრეთვე 4 საკანონმდებლო წინადადება და 1 პეტიცია. აღნიშნულ პერიოდში მან გამართა 39 სხდომა.

კომიტეტის საქმიანობა შეეხო შემდეგ სფეროებსა და საკითხებს: ენერჯეტიკა, კონკურენცია, ელექტრონული კომუნიკაციები, ვაჭრობა, სახელმწიფო შესყიდვები, სივრცითი მონაცემები, პროდუქტის უსაფრთხოება, სატრანსპორტო პოლიტიკა, სახელმწიფო ქონება, ბიზნესის ხელშეწყობა და სხვა.

კომიტეტის მიერ ინიცირებულ იქნა შემდეგი კანონპროექტები:

- საანგარიშო პერიოდში IX მოწვევის პარლამენტში კომიტეტის თავმჯდომარის რომან კაკულიას მიერ ინიცირებულ იქნა საქართველოს კანონის პროექტი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ და მისგან გამომდინარე კანონპროექტები (№07-3/496; 23.09.2020).
- პანდემიიდან გამომდინარე, შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში საბჭოს შექმნის გადავადების შესახებ. ამდენად, ინიცირებულ იქნა კანონპროექტი და შესაბამისი კანონის სათანადო მუხლების ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2023 წლის 1 იანვარი.

განხილული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებზედაც კომიტეტი იყო წამყვანი:

- საქართველოს კანონის პროექტი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და თანამდევ კანონების პროექტები (№07-3/373; 19.06.2019). საკანონმდებლო ინიციატივა შემუშავდა ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად,

რომელიც აქცენტს აკეთებს ქვეყნის ტერიტორიაზე ერთიანი, ყოვლისმომცველი და ეფექტიანი კონკურენციის კანონმდებლობის არსებობაზე.

საკანონმდებლო ინიციატივა ემსახურებოდა პრაქტიკული და სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრას და კანონის აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესებას, კერძოდ: კანონდარღვევის შესწავლის პროცესში კანონმდებლობით გათვალისწინებული აღსრულების მექანიზმების სრულყოფას – ინფორმაციის მიწოდების, მოკვლევის ვადების, მხარეთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი ნორმების გაუმჯობესებას; საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოსა და ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს კომპეტენციის გამიჯვნას და თანამშრომლობის ეფექტიანობის გაუმჯობესებას; კონცენტრაციის მარეგულირებელი ნორმების გაუმჯობესებას; სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების პროცედურული საკითხებისა და ვადების სრულყოფას; არაკეთილსინდისიერი კონკურენციის რეგულირების ეფექტიანობის გაუმჯობესებას; სააგენტოს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით გადანყვეტილების მიმღები კოლექტიური ორგანოს შექმნას და საქმის შესწავლისა და გადანყვეტილების მიღების პროცესების გამიჯვნას.

კანონპროექტზე მუშაობისას კომიტეტმა გამართა არაერთი სამუშაო შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობდნენ კერძო და საჯარო სექტორების წარმომადგენლები, ექსპერტები და სამეცნიერო საზოგადოების წევრები. კანონი მიღებულ იქნა 2020 წლის 16 სექტემბერს.

➤ საქართველოს კანონების პროექტები: „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღების შესახებ“ და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/369; 02.07.2019). ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში განევრებისას მიერთების ოქმით აღებული ვალდებულების თანახმად, საქართველო ვერ გამოიყენებს ვაჭრობაში დამცავ ზომებს, მათ შორის, ანტიდემპინგურ ღონისძიებებს მანამ, სანამ ქვეყანაში არ იქნება ვმო-ს მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა. ამდენად, მიზანშეწონილია ქვეყანაში ვმო-ს პრინციპებისა და ნორმების შესაბამისი, ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღებისთვის აუცილებელი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის არსებობა.

კანონის პროექტის უმთავრესი მიზანია ადგილობრივი ინდუსტრიის ანტიდემპინგური იმპორტისგან დაცვა. კანონის პროექტის თანახმად, დემპინგური იმპორტისას სპეციალური ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღებას წინ უნდა უძღოდეს შესწავლა, რომელსაც განახორციელებს საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო. დემპინგური ღონისძიებების შემოღების შესახებ გადანყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. რეგულირდება დემპინგის დადგენისთვის

საჭირო პროცედურების განხორციელება. დგინდება დემპინგურ იმპორტსა და ადგილობრივი ინდუსტრიისთვის ზიანის მიყენებას შორის მიზემშედევობრივი კავშირი, აგრეთვე წინასწარი ანტიდემპინგური ტარიფის შემოღების საფუძვლები. განისაზღვრება შესწავლის დანაწესების საფუძვლები და წარმოების ძირითადი პრინციპები. ასევე დგინდება მინიმალური დემპინგური ზღვარი. საქართველოს მთავრობას მიეცა 6-თვიანი პერიოდი იმისთვის, რომ უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების მიღება: „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების შესახებ“; „საქართველოს მთავრობის მიერ ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის თაობაზე“; „წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიებისა და სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის ადმინისტრირების წესის შესახებ“. კანონი მიღებულ იქნა 2020 წლის 13 ივლისს.

► საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს სარკინიგზო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/292; 13.12.2018). კანონპროექტთა პაკეტი შემუშავებულ იქნა ევროკავშირის №1370/2007 რეგულაციის საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაციის მიზნით და ეხებოდა საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების მეშვეობით მგზავრთა სარკინიგზო გადაყვანის სახელმწიფო რეგულირებას. კანონპროექტით განისაზღვრება სარკინიგზო ტრანსპორტით საზოგადოებრივი მომსახურების გაწევის წესები და პირობები, რაც გულისხმობს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილების დადგენას, კომპეტენტურ ორგანოსა და სარკინიგზო ოპერატორს შორის ხელშეკრულების გაფორმების წესსა და პირობებს, რომლის საფუძველზედაც სარკინიგზო ოპერატორს ეკისრება საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულება, რომლის შესრულების სანაცვლოდაც იგი მიიღებს კომპენსაციას კომპეტენტური ორგანოსგან. პროექტი ასევე განსაზღვრავს საზოგადოებრივი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით სარკინიგზო ოპერატორის შერჩევის პროცესსა და მეთოდებს, სარკინიგზო ოპერატორთან გასაფორმებელი ხელშეკრულების შინაარსს. ამასთანავე, პროექტი ქმნის საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებისა და საზოგადოებრივი მომსახურების კომპენსაციის განსაზღვრის წესის დადგენის საკანონმდებლო საფუძველს.

კანონპროექტის განხილვისას აღინიშნა, რომ, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, საქართველო ვალდებულია 2022 წლამდე განახორციელოს რკინიგზის სექტორის რეფორმირება. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სარკინიგზო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ბაზრის გახსნა. ეს საკითხი რეგულირდება ერთიანი ევროპული სარკინიგზო სივრცის შექმნის შესახებ 2012/34// EU დირექტივით. ასოცირების შესახებ შეთანხმების (იმპლემენტაციის ვადა – 2022

წელი) შესაბამისად, ის მუხლები (მე-10–მე-15 მუხლები), რომლებიც განსაზღვრავს სარკინიგზო ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაზე დაშვების პრინციპებს (ბაზრის გახსნა), საქართველოსათვის სავალდებულო არ არის. მიუხედავად ამისა, 2020 წელს განხორციელებული ცვლილებით საზოგადოებრივი სარკინიგზო სატრანსპორტო მომსახურების პრინციპებში ბაზრის გახსნის ინსტრუმენტი გათვალისწინებულ იქნა. კანონპროექტის განხილვის პროცესში კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის სიღრმისეული შესწავლა და მოისმინა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხედვა ქვეყნის სატრანსპორტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, კომიტეტის პოზიციით გამოიკვეთა ინფრასტრუქტურისა და სატვირთო გადაზიდვების მიმართულებით ბაზრის გახსნასთან დაკავშირებული გამოწვევების სიღრმისეული შესწავლისა და 2022 წლამდე განსახორციელებელი რეფორმების შემუშავების პროცესში ჩართულობის ზრდის საჭიროება. კანონი მიღებულ იქნა 2020 წლის 23 ივნისს.

➤ საქართველოს კანონის პროექტი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/8; 18.12.2020). კანონპროექტი ითვალისწინებდა კანონით დადგენილი ვადის ნ თვით გაგრძელებას შემდეგი ვალდებულებების შესრულებისთვის: ელექტროენერჯის გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებისათვის განცალკევების დადგენილი მოთხოვნა; უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლისა და საჯარო მომსახურების სანარმოების ავტორიზაცია. კანონი მიღებულ იქნა 2021 წლის 5 იანვარს.

➤ საქართველოს კანონების პროექტები: „ენერგოეფექტურობის შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/425; 27.11.2019). კანონპროექტების შემუშავება განპირობებული იყო ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარეებისათვის ადაპტირებული „ენერგოეფექტურობის შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის 2012/27/EU დირექტივის იმპლემენტაციით. „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი მიზნად ისახავდა: ქვეყანაში ენერგორესურსებზე მზარდი მოთხოვნილების დარეგულირებას; ენერჯიაზე მოთხოვნილების ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მიზანშეწონილი მართვის პრაქტიკის დანერგვას; ენერგორესურსების იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას, რაც შესაბამის გავლენას მოახდენს ენერგეტიკული უსაფრთხოების ზრდაზე; გარე ეკოლოგიური მდგომარეობისა და შენობების შიდა კლიმატური პირობების გაუმჯობესებას. კანონის მიღების შედეგად განისაზღვრა ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისა და განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების დანერგვისათვის ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები. ზოგადი შეფასებით, საბოლოო მომხმარებლისათვის განსაზღვრული ყველა პოტენციური ღონისძიების განხორციელების შემთხვევაში ქვეყანაში მომხმარებლებისათვის ენერგოგადასახადები ყოველწლიურად შემცირდება: სავარაუდოდ, 147 მლნ

ევროთი 2021-2022 წლებისათვის და 553 მლნ ევროთი 2030 წლამდე (2021-2022 წლებისათვის ენერგომომხმარების შემცირების პოტენციური იქნება დაახლოებით 10%-იანი, 2030 წლისათვის კი – 15%-იანი). გარემოსდაცვითი კუთხით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მოსალოდნელია 2,1 მილიონი ტონა CO₂-ის შემცირება 2021 წლისათვის და 4,7 მილიონი ტონა CO₂-ის შემცირება 2030 წლისათვის. კანონი მიღებულ იქნა 2020 წლის 21 მაისს.

➤ საქართველოს კანონის პროექტი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (№07-2/401; 08.10.2019). კანონის მიღებით კონკრეტული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღებით დაინტერესებულ პირებს ხელი შეეწყობათ იმაში, რომ ლიცენზია მიიღონ უფრო მოკლე ვადაში, ვიდრე მოქმედი კანონმდებლობით იყო განსაზღვრული. კანონის პროექტი ითვალისწინებდა აუქციონის გამოცხადების 15-დღიან რეჟიმს ისეთი რესურსებისთვის, რომელთა ინდუსტრიული ღირებულება შედარებით დაბალია. კერძოდ, განისაზღვრა კონკრეტული მოცულობა – 500 000 (ხუთასი ათასი) კუბური მეტრი, რომლის ფარგლებშიც უნდა მოქცეულიყო აუქციონზე გატანილი ობიექტის მოსაპოვებელი რესურსის ოდენობა. თუ ოდენობა აღნიშნულ ზღვრულ მოცულობას აღემატება, ობიექტი ჩვეულებრივ რეჟიმში ექცევა და აუქციონი ცხადდება არანაკლებ ერთი თვით ადრე.

კანონპროექტით პირდაპირ იყო წარმოდგენილი იმ რესურსების სახეობების ჩამონათვალი, რომელთა შემთხვევაშიც მითითებულია ზღვრული მოცულობა, კერძოდ: საწვავი და ენერგორესურსები (გარდა ნავთობისა და გაზისა); სამთო-ქიმიური ნედლეული; არამადნეული ნედლეული; საშენი მასალები; მიწისქვეშა მტკნარი წყალი, როდესაც პირდაპირ არის განსაზღვრული მისი სამეწარმეო დანიშნულებით მოპოვება. კანონი მიღებულ იქნა 2020 წლის 17 მარტს.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა განიხილა აგრეთვე საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი საერთაშორისო ხელშეკრულებები/შეთანხმებები, რომლებიც ეხება:

- COVID-19-ზე საგანგებო რეაგირების მხარდაჭერას – 3 ხელშეკრულება;
- ენერგეტიკის სექტორში დაგეგმილი რეფორმების მხარდაჭერას – 6 ხელშეკრულება;
- ინფრასტრუქტურის განვითარებას – 6 ხელშეკრულება;
- მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესებას – 1 ხელშეკრულება;
- ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარებას – 1 ხელშეკრულება;
- ურბანული მომსახურების გაუმჯობესებას – 1 ხელშეკრულება;
- კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას – 2 ხელშეკრულება;
- წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის მომსახურების გაუმჯობესებას – 1 ხელშეკრულება;

- პროექტს „Log-In Georgia“ – 1 ხელშეკრულება;
- თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში ცვლილებას – 1 ხელშეკრულება.

დიასკორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში კანონშემოქმედებითი საქმიანობის კუთხით განხილული დოკუმენტებიდან საყურადღებოა:

- „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული მასალებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამისი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (№07-2/525; 01.10.2020) განხილვა;
- საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის (№07-2/484; 09.06.2020) განხილვა.

ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა და შესაბამისი დასკვნები მომზადდა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ საქართველოს პარლამენტში ნდობის მისაღებად წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობასა და სამთავრობო პროგრამაზე (სამთავრობო პროგრამა 2021–2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“) (№07-2/7/10; 18.12.2020).

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის საკანონმდებლო საქმიანობა ძირითადად ემსახურებოდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. საანგარიშო პერიოდში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ განხილული კანონპროექტებით უზრუნველყოფილია საქართველოს კანონმდებლობის სრული ან ნაწილობრივი დაახლოება ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროკავშირის 16-მდე ღირეფტივასა და რეგულაციასთან. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირის სამართალთან დაახლოება უზრუნველყოფილია აგრეთვე

კანონმდებლობაზე ნორმატიული აქტებით, რომელთა შემუშავება ხდება პარლამენტის მიერ მიღებული კანონების საფუძველზე.

კანონმდებლობების ჰარმონიზაციისა და პროცესის უკეთ კოორდინირების მიზნით კომიტეტმა შეიმუშავა ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების შესახებ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც პარლამენტის ბიურომ 2020 წლის 19 თებერვალს დაამტკიცა. 2020 წლის სამოქმედო გეგმამ განსაზღვრა ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და აქტივობები სამი მიმართულებით – კანონმდებლობითი საქმიანობა, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების პროცესზე ზედამხედველობა და ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

კომიტეტმა 2020 წელს გამართა 14 სხდომა და განიხილა 68 ნორმატიული აქტის პროექტი, რის შედეგადაც მოხდა საქართველოს კანონმდებლობის სრული ან ნაწილობრივი დაახლოება ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროკავშირის 16-მდე დირექტივასა და რეგულაციასთან.

2020 წლის დეკემბერში, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აქტიური ჩართულობით შემუშავდა „საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია, რომელშიც აისახა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური დღის წესრიგი, მათ შორის, საქართველოს მიერ 2024 წელს ევროკავშირის სრულფასოვან წევრობაზე განაცხადის გაკეთების საკითხი.

კომიტეტის მიერ განხილული 68 ნორმატიული აქტის პროექტიდან აღსანიშნავია შემდეგი მნიშვნელოვანი კანონპროექტები:

➤ საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ ინიცირებული საქართველოს კანონის პროექტი „აკვაკულტურის შესახებ“ დამისგან გამომდინარე კანონპროექტები (№07-3/430; 29.01.2020). მიღებული კანონით შეიქმნა სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო აკვაკულტურის მართვისა და განვითარებისთვის, განისაზღვრა აკვაკულტურის ნებართვის გაცემის, საქართველოს საზღვაო წყლებში აკვაკულტურის ზონების გამოყოფის, აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელებისას გარემოს დაცვის, სურსათის უვნებლობისა და აკვაკულტურასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. საკანონმდებლო ცვლილებები ხელს შეუწყობს ქვეყანაში წყლის ორგანიზმების მოშენების, წყლის პროდუქტების განხარისხიანი და უსაფრთხო საკვების წარმოების პოპულარიზაციას, წყლის გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დაცვას.

➤ საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და თანამდევ კანონპროექტები (№07-2/436/9; 13.01.2020). „ფასიანი ქაღალდების ბაზრის

შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით დაიხვეწა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტთა და საჯარო წილობრივი ფასიანი ქაღალდების მფლობელთა მიმართ არსებული გამჭვირვალობის მოთხოვნები, მოწესრიგდა ბაზრის მანიპულაციასა და ინსაიდერულ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები და უზრუნველყოფილ იქნა საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობა. საკანონმდებლო ცვლილებებმა შექმნა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო მექანიზმები, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბაზარზე გამჭვირვალობის ზრდას, უზრუნველყოფს ინვესტორთა ნდობის ამაღლებას და მათ დაცულობას.

საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება დაკავშირებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან. საკანონმდებლო ინიციატივით მოხდა საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება „ინსაიდერული გარიგებებისა და ბაზარზე მანიპულაციების (ინსაიდერული ინფორმაციის ბოროტად გამოყენების) შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 28 იანვრის 2003/6/EC დირექტივასთან.

➤ საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-2/448; 19.02.2020). „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით სათანადო დირექტივის შესაბამისად მოწესრიგდა უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის/მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის საკითხი, რაც ხელს შეუწყობს უსასყიდლოდ განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივებას, აგრეთვე საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გამარტივებას, განსაკუთრებით – მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

საკანონმდებლო ცვლილებებით დამატებული ღირებულების გადასახადთან დაკავშირებით გათვალისწინებულია შეღავათები, რაც დადებით გავლენას მოახდენს გადასახადის გადამხდელებზე.

საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება დაკავშირებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან. საკანონმდებლო ინიციატივით მოხდა საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება „დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო სისტემის შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/112/EC დირექტივასთან.

➤ საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი – საქართველოს კანონის პროექტი „სა-

ინვესტიციო ფონდების შესახებ“ და სხვა კანონპროექტები (№07-2/453; 24.02.2020). „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტითა და საკანონმდებლო პაკეტის სხვა კანონპროექტებით მონესრიგდა საინვესტიციო ფონდებისა და აქტივების მმართველი კომპანიების საქართველოში დაფუძნებასა და მართვასთან, აგრეთვე მათ მიერ ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები. საინვესტიციო ფონდების კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება უზრუნველყოფს ინვესტორთა დაცულობის ხარისხის გაზრდას და საერთაშორისო ბაზრის მონაწილეების საქართველოს მიმართ მეტი ნდობისა და დაინტერესების წინაპირობაა. ქვეყანაში განვითარებული საინვესტიციო ფონდების ბაზრის არსებობა გაზრდის საინვესტიციო პროდუქტებსა და სერვისებზე მოთხოვნილებას, რაც გამოიწვევს კაპიტალის ბაზარზე ემიტენტების, შუამავლებისა და ინვესტორების უფრო მეტ აქტიურობას და, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება დაკავშირებულია საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან. საკანონმდებლო ინიციატივის მიღებით მოხდა საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება „მიმოქცევად ფასიან ქალაქებში კოლექტიური ინვესტიციების განსახორციელებლად შექმნილ საწარმოსთან (UCITS) მიმართებით კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების კოორდინაციის თაობაზე“ 2009/65/EC დირექტივასთან.

➤ საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი – საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და სხვა კანონპროექტები (№07-2/452; 21.02.2020). საკანონმდებლო პაკეტით ყალიბდება ინსტიტუციურად დამოუკიდებელი დავების განხილვის საბჭო, განისაზღვრება საბჭოს წევრთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და დამოუკიდებლობის გარანტიები, დგინდება საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები. საკანონმდებლო ინიციატივით შეიცვალა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განსახორციელებლად შესაბამის სააგენტოსთან შეთანხმების წესი. საკანონმდებლო პაკეტის მიღებამ უზრუნველყო დავების განხილვის საბჭოს მეტი დამოუკიდებლობა.

საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება დაკავშირებულია საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან. საკანონმდებლო ინიციატივით მოხდა საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება „საჯარო შესყიდვებისა და 2004/18/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის 2014/24/EU დირექტივასთან და „პროდუქციის მიწოდებისა და

სამუშაოების შესრულების შესახებ საჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავების განხილვის პროცედურების გამოყენების შესახებ კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების კოორდინაციის თაობაზე“ ევროკავშირის საბჭოს 1989 წლის 21 დეკემბრის 89/665/EEC დირექტივასთან.

➤ საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღების შესახებ“ და თანამდევ კანონპროექტი (№07-2/369; 02.07.2019). საკანონმდებლო ინიციატივით განისაზღვრა ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღებისა და გამოყენების, აგრეთვე სპეციალური კვლევის (შესწავლის) განხორციელების წესი. კანონის მიღებით სახელმწიფო უზრუნველყოფს ადგილობრივი ინდუსტრიის დემპინგური იმპორტით მიყენებული ზიანისგან ან/და შესაძლო ზიანის მიყენებისგან დაცვას.

➤ საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტი – საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და სხვა კანონპროექტები (№07-3/448; 27.04.2020). საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფის მიზნით საკანონმდებლო ინიციატივით მოწესრიგდა შემდეგი შრომით სამართლებრივი საკითხები: დისკრიმინაციის აკრძალვა; ზეპირი და ვადიანი შრომითი ხელშეკრულება; შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები; სტაჟიორის სამართლებრივი სტატუსი; არასრული სამუშაო განაკვეთი; სამუშაო დრო; დასვენების/შესვენების უფლება; ზეგანაკვეთური სამუშაო; ცვლაში მუშაობა; ღამით მუშაობა; ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება; ბავშვის მოვლის გამო შვებულება, რომელიც მოიცავს აგრეთვე მამების ანაზღაურებადი შვებულების უფლებას; შრომის ანაზღაურება და მინიმალური ხელფასი; მასობრივი დათხოვნა; საწარმოთა გადაცემა; გაფიცვის უფლება; კოლექტიური შრომითი მედიაცია; ინფორმაცია და კონსულტაცია სამუშაო ადგილზე; შრომით უფლებებთან დაკავშირებით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება და სხვა.

ცვლილებები დაკავშირებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან. საკანონმდებლო ინიციატივით მოხდა საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება 10 დირექტივასთან.

➤ საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი – საქართველოს კანონის პროექტი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ და სხვა კანონპროექტები (№07-3/501; 14.07.2020). საკანონმდებლო ცვლილებებით უზრუნველყოფილი იქნება ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემა, რომლის მიზანია გარემოსთვის მიყენებული ზიანის პრევენცია და

აღმოფხვრა/შერბილება და გარემოს აღდგენა. საკანონმდებლო ინიციატივით ჩამოყალიბდა სწორი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემა, შეიქმნა მყარი სამართლებრივი საფუძველი არა მხოლოდ მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიებისთვის, არამედ ყველა საწარმოსთვის.

საკანონმდებლო ინიციატივამ, მოქმედი მარეგულირებელი ნორმისგან განსხვავებით, შემოიტანა ახალი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მექანიზმი, რომლის თანახმად, პირი, რომელიც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს გარემოს, ვალდებულია განახორციელოს გარემოს აღსადგენად საჭირო გამოსასწორებელი ღონისძიებები წინასწარ განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

ცვლილებები დაკავშირებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან. საკანონმდებლო ინიციატივით მოხდა საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ 2004/35/EC დირექტივასთან, რომელიც ეხება გარემოსთვის ზიანის მიყენების პრევენციას და დაზიანებული გარემოს აღდგენას.

➤ საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის პროექტი „საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ“ (№07-3/1; 16.12.2020). ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული „საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის პროექტის შემუშავების პროცესში. რეზოლუცია ეხება საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს მომდევნო ოთხი წლისთვის. რეზოლუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული საქართველოს ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა – საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცება, ქვეყნის დეოკუპაცია, მშვიდობიანი გზითა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

რეზოლუციაში ასევე ასახულია ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები: ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაცია, აშშ-სთან თანამშრომლობა, ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცება, რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება, კულტურული და ეკონომიკური დიპლომატია, ხალხთაშორისი კავშირები, დიასპორებთან ურთიერთობა და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ რეზოლუციის ტექსტი ასახავს კონკრეტულ გეგმას – ევროკავშირში განწევრების გზაზე კონკრეტული ნაბიჯების განსაზღვრულ დროში გადადგმას. კომიტეტის ინიციატივით, რეზოლუციის მე-2 პუნქტი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა:

„2. საქართველოს საგარეო პოლიტიკის უალტერნატივო პრიორიტეტია ევროკავშირში განწევრება. ქვეყნის ხელისუფლება გააგრძელებს ევროკავშირსა და

საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების დროულ და ქმედით განხორციელებას და საქართველოს ევროკავშირთან თანამიმდევრულ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დაახლოებას, რათა 2024 წელს ქვეყანამ შეიტანოს განაცხადი ევროკავშირის სრულფასოვან წევრობაზე. ხელისუფლების მნიშვნელოვანი ამოცანაა, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, ევროკავშირის შიდა ბაზართან ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარება და ევროკავშირთან საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნა, რაც ევროკავშირში სრული ინტეგრაციის საფუძველია. ევროკავშირში ინტეგრაციისთვის ასევე მნიშვნელოვანია უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შეუფერხებელი მოქმედება და ხალხთაშორისი კავშირების ხელშეწყობა, აგრეთვე ევროკავშირთან და მის წევრ ქვეყნებთან განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში კავშირების გაღრმავება. ევროკავშირთან ინტეგრაციის მიზნისთვის, ევროკავშირთან ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცების გარდა, საქართველო აქტიურად გამოიყენებს „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ინიციატივას, ასევე ხელს შეუწყობს ევროკავშირთან ახალი ფორმატების ჩამოყალიბებას.“.

ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა განიხილა „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019–2022 წლებისთვის, შეისწავლა უშუალოდ მისი ზედამხედველობის სფეროში შემავალი უწყებისთვის – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებული პროგრამების მიზნობრიობა, აგრეთვე სხვადასხვა სფეროში ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის აუცილებელი რესურსების მობილიზების საკითხი. კომიტეტი ასევე აქტიურად იყო ჩართული „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის (№07-2/484; 09.06.2020) განხილვის პროცესში.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით წამყვან კომიტეტად განისაზღვრა 5 კანონპროექტზე, რომელთაგან 3 კანონპროექტი იყო საქართველოს პარლამენტის წევრის ინიციატივა, ხოლო 2 კანონპროექტი – საქართველოს მთავრობის ინიციატივა. საქართველოს პარლამენტის მიერ ხუთივე კანონი მიღებულია.

კანონპროექტების ნაწილის ინიცირების მიზანი იყო უსაფრთხოების სფეროში პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტების აღსრულებისას

გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. ამ მიმართულებით კომიტეტმა გააანალიზა სამხედრო პროდუქციაზე ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები და მოამზადა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები „იარაღის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონებში (№07-3/356; 29.05.2019):

- „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებით დარეგულირდა სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის მიერ რეკომენდაციის გაცემის წესი. კერძოდ, კანონს დაემატა ნორმა, რომლის მიხედვით, სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიისთვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურები, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;
- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს ლიცენზიის ერთ-ერთ სახეს – სამხედრო პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ლიცენზიას. თუმცა კანონით განსაზღვრული არ იყო სამხედრო პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ლიცენზიის გამცემი ორგანო, მისი გაცემის საფუძველი და რეკომენდაციის გაცემის წესი. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებით განისაზღვრა, რომ სამხედრო პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ლიცენზიის გამცემი ორგანოა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. ლიცენზიის გაცემისას ლიცენზიის მაძიებელმა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარადგინოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის რეკომენდაცია. ამასთანავე, განისაზღვრა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიისთვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურები, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;
- „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტით დადგინდა მოსაკრებელი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საბროკერო მომსახურების ლიცენზიის გაცემისათვის და „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათ-

ვალისწინებული როგორც სამხედრო, ისე ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საბროკერო მომსახურებისა და ტექნიკური დახმარების ნებართვის გაცემისათვის.

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/487/9; 11.06.2010)

„საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგამოძიებო ქვემდებარეობის ფარგლებში დანაშაულთა გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ფუნქცია ჰქონდა მხოლოდ სამხედრო პოლიციას, რომელიც თავდაცვის ძალების სტრუქტურული ერთეულია.

ზემოაღნიშნული ცვლილების განხორციელება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ გენერალური ინსპექცია, დაკისრებული ფუნქციებიდან/მოვალეობებიდან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ახორციელებს ინსპექტირებასა და სამსახურებრივ შემოწმებას (მათ შორის, ფინანსურს), ასევე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენას, აღკვეთას და შესაბამის რეაგირებას. გენერალური ინსპექცია ასევე ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, თუმცა მას არ ჰქონდა გამოძიების უფლებამოსილება. გენერალური ინსპექციის მიერ საქმიანობის განხორციელებისას შესაძლებელია გამოიკვეთოს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. ვინაიდან ასეთ შემთხვევაში საქმის მასალები გენერალურ ინსპექციას უკვე სრულად აქვს შესწავლილი, უმჯობესია მანვე წარმართოს გამოძიების პროცესი, რაც თავდაცვის სამინისტროს სისტემაში საგამოძიებო ფუნქციის განხორციელებას უფრო ეფექტიანს გახდის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებით კანონის მე-7 მუხლის მე-14 პუნქტს (სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და თავდაცვის ძალების ერთობლივი ფუნქციები) დაემატა ნორმა, რომლის მიხედვით, საგამოძიებო ქვემდებარეობის ფარგლებში დანაშაულთა გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება გახდა თავდაცვის ძალებისა და სამოქალაქო ოფისის საერთო ფუნქცია.

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/496; 05.07.2020)

საკანონმდებლო ცვლილების მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტისთვის და ამ დაწესებულებაში ჩარიცხვამდე აპლიკანტის სტატუსის მქონე პირისთვის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადება.

სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება. ამასთანავე, პროფესიული განათლება სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულებაა. იმისათვის, რომ დაცულ იქნეს ბალანსი, ხელი არ შეეშალოს არც ერთი მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას და გაიზარდოს მოტივაცია პროფესიული განათლების მისაღებად, კანონპროექტი გადამუშავდა კომიტეტის მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და პრინციპების გათვალისწინებით. კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, სამხედრო სავალდებულო სამსახური გადაუვადდებათ: პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულ პროფესიულ სტუდენტს – შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, მხოლოდ ერთხელ, იმ შემთხვევაში, თუ მას არ უსარგებლია სამხედრო სამსახურში განწვევის გადავადების უფლებით, და პირს, რომელიც არის აპლიკანტი, – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დასრულების წელს, საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვამდე.

საქართველოს პარლამენტის ბიუროს დავალებით კომიტეტმა სავალდებულო დასკვნა მოამზადა 190 კანონპროექტზე, რომელთაგან საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა იყო 182 კანონპროექტი, ხოლო საქართველოს პარლამენტის წევრების ინიციატივა – 8 კანონპროექტი (საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია 188 კანონი).

გემოაღნიშნული კანონპროექტებიდან უნდა გამოიყოს:

- საქართველოს პარლამენტის წევრის ირაკლი სესიაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

აღნიშნული კანონპროექტის შემუშავება განპირობებული იყო ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობით, კერძოდ:

- ◇ ქსელებისა და აპარატული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების ორგანიზება ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს. ინფორმაციულ სისტემაში მომხდარი ინციდენტების ყოველდღიური მონიტორინგი და, მით უმეტეს,

მათი გამოვლენა არ ხდება. მსგავსი ინციდენტების დაფიქსირების შესახებ ინფორმაციის მომწოდებლები უმეტეს შემთხვევაში უცხოელი პარტნიორები არიან. ქსელის დაუცველობის პირობებში კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ინფრასტრუქტურა თაქტობრივად ღიაა გარე წვდომისთვის, რაც მნიშვნელოვნად ზრდის კიბერშეტევის რისკებს;

- ◇ კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტები არ იყენებენ ან არასწორად იყენებენ ქსელის მონიტორინგისა და ინფორმაციული ინციდენტების გამოვლენისთვის საჭირო აპარატურას;
- ◇ არ არსებობს ერთიანი, ცენტრალიზებული მონიტორინგის ცენტრი, რომელსაც ექნება პირდაპირი წვდომა კრიტიკული სახელმწიფო უწყებების ქსელზე და, შესაბამისად, შესაძლებლობა, მიმდინარე რეჟიმში დააკვირდეს და გამოავლინოს აღნიშნული სუბიექტების ქსელში მიმდინარე ინციდენტები. ინციდენტების გამოვლენა ქსელზე წვდომის გარეშე შეუძლებელია;
- ◇ გარე კონტროლი სუსტია და ვერ უზრუნველყოფს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლს;
- ◇ ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გაცემული რეკომენდაციები სავალდებულო არ არის;
- ◇ არ არსებობს სანქციათა სისტემა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ინფორმაციული უსაფრთხოების ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის.

კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილება მიზნად ისახავს ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროს გაძლიერებას და პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას.

კანონპროექტი ითვალისწინებს მოქმედი მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების ცვლილებას რამდენიმე ძირითადი მიმართულებით. კერძოდ:

1. განხორციელდება კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების კატეგორიზაცია. კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილების შესაბამისად, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტები 3 კატეგორიად დაიყოფიან.
2. კანონპროექტის მეორე ძირითადი მიმართულებაა ინფორმაციული უსაფრთხოების დანერგვისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფლებამოსილებების განსაზღვრა. ქვეყნის კიბერუსაფრთხოების დაცვის გაძლიერების მიზნით ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში შეიქმნება კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფი – CERT.OTA.GOV.GE.

3. ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების დანერგვის ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი გარემოებაა მოქმედ კანონმდებლობაში შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის მექანიზმების არარსებობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონპროექტის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ინფორმაციული უსაფრთხოების კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისთვის ადმინისტრაციული სანქციების შემოღება.
- ▶ საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ“, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/445; 04.02.2020)

კანონის მიღების შედეგად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს და „სმართ ლოჯიქის“ გაერთიანების შედეგად შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ციფრული მმართველობის სააგენტო, რაც, ელექტრონული სერვისების მომხმარებელთა სწრაფი ზრდისა და ელექტრონული მმართველობის მნიშვნელოვანი პროგრესის ფონზე, ხელს შეუწყობს საქართველოში ციფრული მმართველობის განვითარებას.

სააგენტოს საქმიანობის მთავარი მიმართულებებია: ციფრული მმართველობის განვითარება, სერვისების გაცდურება, ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა, მონაცემთა გაცვლის სისტემის მართვა და მათი ხელშემწყობი საკანონმდებლო, სტრატეგიული, პროცედურული ჩარჩოებისა და სტანდარტების შემუშავება. სააგენტო, უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფს ელექტრონული მმართველობის განხორციელებისას მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემის (ინფრასტრუქტურის) გამართულ ფუნქციონირებას, ელექტრონული მონაცემებისა და ელექტრონული სერვისების ურთიერთთავსებადობას, ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის წარმოებას, საჯარო სექტორში

არსებული ღია მონაცემების ხელმისაწვდომობას და კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების პროცესის ზედამხედველობას. ციფრული მმართველობის განვითარების პარალელურად, სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და კიბერუსაფრთხოებას.

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და თანამდევ კანონპროექტები (№07-2/447; 19.02.2020)

„საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტით განხორციელდა შინაარსობრივი და ტერმინოლოგიური ცვლილებები. ცვლილების განხორციელების შემდეგ თვითმმართველი ერთეულის ორგანოს აღსანიშნავად, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს“ და „თვითმმართველი ერთეულის“ ნაცვლად, გამოყენებულია ერთი ტერმინი – „მუნიციპალიტეტის ორგანო“. მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებად განისაზღვრება მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე სხვა უფლებამოსილებები. თანამდევ კანონპროექტებში ძირითადად განხორციელდა ტერმინოლოგიური ცვლილებები და „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო“ და „თვითმმართველი ერთეული“ შეიცვალა ტერმინით „მუნიციპალიტეტის ორგანო“.

საქართველოს პარლამენტის ბიურომ კომიტეტი წამყვან კომიტეტად განსაზღვრა აგრეთვე 4 საერთაშორისო ხელშეკრულებაზე. საქართველოს პარლამენტის მიერ ოთხივე ხელშეკრულება რატიფიცირებულია.

- საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი „აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას, საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სპეციალური ძალების სწავლება „კავკასიის არნივის“ შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმი (№07-2/440; 31.01.2020)

მემორანდუმის მიზანია საქართველოსა და მის პარტნიორ ქვეყნებს – აზერბაიჯანისა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება და რეგიონში სპეციალური ძალების შესაძლებლობების სინქრონიზაციისა და კოორდინაციის ხელშეწყობა. მემორანდუმი განსაზღვრავს მრავალეროვნული სწავლება „კავკასიის არნივის“ ჩატარებასთან დაკავშირებით მასპინძელი ქვეყნის მიერ წარმგზავნი ქვეყნის ძალებისათვის დახმარების გაწევის პირობებს, სწავლებაში მონაწილე პერსონალის სამართლებრივ სტატუსს, მხარეთა იურისდიქციას და გადასახადებთან დაკავშირებულ საკითხებს, მხარეთა ქვეყნებში

შესვლისა და გასვლის პროცედურებს, მასპინძელი ქვეყნის მიერ მის ტერიტორიაზე განლაგებული სხვა მხარეთა ძალების პერსონალისათვის გასაწევი ლოგისტიკური მხარდაჭერის საკითხებს, საიდუმლო ინფორმაციის გაცვლასა და დაცვასთან დაკავშირებულ რეჟიმს და ამ მიმართულებით მხარეთა ვალდებულებებს.

- ▶ საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამხედრო ფინანსური თანამშრომლობის შეთანხმება“ (№07-2/439; 23.01.2020)

შეთანხმება განსაზღვრავს საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამხედრო ფინანსური თანამშრომლობის საფუძველზე 100 000 000 (ასი მილიონი) თურქული ლირის აშშ დოლარში ეკვივალენტის (დაახლოებით 17 500 000) მიწოდების პრინციპებს.

შეთანხმების თანახმად, გამოყოფილი სახსრებით სამხედრო მიზნებისათვის შეძენილი უნდა იქნეს საქონელი და მომსახურება, სასურველია – თურქეთში მოქმედი ადგილობრივი ფირმებისა და კომპანიებისაგან, ასევე უნდა განხორციელდეს მარნეულის აეროპორტის მოდერნიზაცია, ლოგისტიკის დარგში განსახორციელებელი ოქმის შესაბამისად. ქართულმა მხარემ თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას წერილობით უნდა აცნობოს პრიორიტეტული პროექტის შესახებ, რაც უნდა მოიცავდეს საქონლის სპეციფიკაციებს, ტიპსა და ოდენობას. პასუხად თურქულმა მხარემ მას უნდა აცნობოს, რა თანხა იქნება ხელმისაწვდომი 100 000 000 თურქული ლირიდან. თანხა ათვისებული უნდა იქნეს კონკრეტული პროექტებისათვის მისი გამოყოფიდან 5 წლის განმავლობაში.

– საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ლოგისტიკის დარგში განსახორციელებელი ოქმი“ (2016 წ.) (№07-2/505; 24.07.2020) და საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ლოგისტიკის დარგში განსახორციელებელი ოქმი“ (2017 წ.) (№07-2/506; 24.07.2020). აღნიშნული ოქმები ხელს უწყობს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაძლებლობების გაზრდასა და განვითარებას.

„საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ლოგისტიკის დარგში განსახორციელებელი ოქმის“ (2016 წ.) მიზანია 2016 წლის უცხოური სამხედრო ლოგისტიკური დახმარების პროექტის განსაზღვრა. შეთანხმების შესაბამისად, თურქეთის რესპუბლიკა საქართველოს გაუწევს 500 000.00 (ხუთასი ათასი) თურქული ლირის აშშ დოლარში ეკვივალენტის ღირებულების სამხედრო აღჭურვილობით დახმარებას. აღნიშნული თანხა

გამოყენებული იქნება მარნეულის აეროპორტის მოდერნიზაციის პროექტების განსახორციელებლად.

„საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ლოგისტიკის დარგში განსახორციელებელი ოქმის“ (2017 წ.) მიზანია 2017 წლის უცხოური სამხედრო ლოგისტიკური დახმარების პროექტის განსაზღვრა. შეთანხმების შესაბამისად, თურქეთის რესპუბლიკა საქართველოს გაუწევს 1 000 000.00 (ერთი მილიონი) თურქული ლირის აშშ დოლარში ეკვივალენტის ღირებულების სამხედრო აღჭურვილობით დახმარებას. აღნიშნული თანხა გამოყენებული იქნება მარნეულის აეროპორტის მოდერნიზაციის პროექტების განსახორციელებლად.

კომიტეტის მიერ შემუშავებული საქართველოს პარლამენტის დადგენილებების პროექტები:

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა მოამზადა საქართველოს პარლამენტის დადგენილებების პროექტები ზემოაღნიშნული 4 საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის ძალების რაოდენობის დამტკიცებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2019 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიშის თაობაზე.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

2020 წელს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გამართა 42 სხდომა და განიხილა 45 საკანონმდებლო ინიციატივა (335 კანონპროექტი), კერძოდ:

- წამყვანი კომიტეტის სტატუსით – 32 საკანონმდებლო ინიციატივა (80 კანონპროექტი) და 1 საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი;
- იმ კომიტეტის სტატუსით, რომლის დასკვნაც სავალდებულოა, – 12 საკანონმდებლო ინიციატივა (255 კანონპროექტი).

მათ შორის აღსანიშნავია:

- საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N⁰07-3/443; 11.03.2020).

კონსტიტუციური კანონით შეიცვალა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების ჩატარებისა და ამ არჩევნების შედეგად პარლამენტის წევრთა

მანდატების განაწილების წესი და პირობები; კერძოდ, აღნიშნული ცვლილების შედეგად 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარლამენტის 120 წევრი არჩეულ იქნა პროპორციული წესით, ხოლო 30 წევრი – მაჟორიტარული წესით. ამასთანავე, კონსტიტუციური კანონით განისაზღვრა 30 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი და მათი გეოგრაფიული არეალი. გარდა ამისა, პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო ბლოკებისთვის კონსტიტუციური კანონით შეიცვალა პარლამენტის წევრის მანდატის მოსაპოვებლად საჭირო ამომრჩეველთა ხმების მინიმალური პროცენტული რაოდენობა (საარჩევნო ბარიერი) და დადგინდა, რომ პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატები ნაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1 პროცენტს მაინც მიიღებენ, და იმ პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ბლოკებზე, რომელთა მიერ მიღებული ნამდვილი ხმების პროცენტული მაჩვენებელი 1 პროცენტისა და საარჩევნო ბლოკში შემავალი პოლიტიკური პარტიების რაოდენობის ნამრავლს მაინც შეადგენს. ამავდროულად, პოლიტიკური პარტიისა და საარჩევნო ბლოკისთვის დადგინდა შეზღუდვა პარლამენტის წევრთა მაქსიმალური რაოდენობის მანდატების მიღების კუთხით. კონსტიტუციური კანონი შეეხო აგრეთვე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური პარტიის მონაწილეობის პირობებს; კერძოდ, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიას, რომლის მხარდაჭერა ორგანული კანონით დადგენილი წესით დასტურდებოდა არანაკლებ 5000 ამომრჩევლის ხელმოწერით; თუმცა არანაკლებ 5000 ამომრჩევლის მხარდაჭერის დადასტურების ვალდებულებისაგან თავისუფლდებოდა ყველა კვალიფიციური პოლიტიკური პარტია, ყველა ის პოლიტიკური პარტია, რომელიც დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილეობდა პარლამენტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო არჩევნებში, თუ მან ან შესაბამისმა საარჩევნო ბლოკმა ერთ-ერთ არჩევნებში მაინც პროპორციული სისტემით 15000 ხმა მაინც მიიღო, აგრეთვე ყველა ის პოლიტიკური პარტია, რომლის მიერ წარდგენილმა ან რომლის წევრმა კანდიდატმა საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნების პირველ ტურში 15000 ხმა მაინც მიიღო. კონსტიტუციური კანონით დადგინდა, რომ 2024 წლამდე საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების ერთხელ ან მრავალჯერ ჩატარების შემთხვევაში შესაბამისი არჩევნები ტარდება და პარლამენტი ფორმირდება ზემოხსენებული წესებით. კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებულმა აღნიშნულმა საარჩევნო სისტემამ ხელი შეუწყო პოლიტიკური პარტიების მეტ წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტში. ასეთმა საარჩევნო სისტემამ მცირე საზოგადოებრივი მხარდაჭერის მქონე პოლიტიკურ პარტიებსაც მისცა საშუალება, წარმოდგენილი იყვნენ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

ეს კი ხელს უწყობს პოლიტიკური პარტიებისა და დემოკრატიული პროცესების შემდგომ განვითარებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების ჩატარების იმ წესსა და პირობებზე, რომლებიც კონსტიტუციურმა კანონმა დაადგინა, 2020 წლის 8 მარტს შესაბამის პოლიტიკურ პარტიებსა და პარლამენტის წევრებს შორის სრული კონსენსუსით მიღწეულ იქნა პოლიტიკური შეთანხმება. ეს შეთანხმება დადებითად შეაფასეს საქართველოში პოლიტიკური დიალოგის ხელშემწყობმა ელჩებმა.

- ▶ საქართველოს ორგანული კანონების პროექტები: „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/476; 24.06.2020). საკანონმდებლო ცვლილებები ახლებურად აწესრიგებს სხვადასხვა საარჩევნო საკითხს და ეხება შემდეგ ძირითად მიმართულებებს: საარჩევნო ადმინისტრაცია; მედიაკამპანია და საეთერო დრო; საარჩევნო გარემო; ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების პრევენცია; საარჩევნო დავების განხილვა; არჩევნების მეორე ტური; საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის პარტიული სიების წარდგენისას პარტიულ სიაში სქესთა შორის გარკვეული ბალანსის დაცვის წესი; ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადის განსაზღვრა; საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებში ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლის მონაწილეობის დროებითი წესი; პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსება. საკანონმდებლო ცვლილებების ძირითადი ნაწილი ეფუძნება ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციებს. აღნიშნული ცვლილებები მნიშვნელოვანი, წინ გადადგმული ნაბიჯია ქვეყანაში საარჩევნო სისტემის დახვეწისა და პოლიტიკური პარტიების განვითარების კუთხით. საკანონმდებლო ცვლილებებით დაიხვეწა საარჩევნო საკითხების მომწესრიგებელი ნორმები და აღმოიფხვრა კანონში არსებული გარკვეული ხარვეზები, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს არჩევნების თავისუფალ, სამართლიან და თანასწორ გარემოში ჩატარებას.

- საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/446; 17.03.2020). საკანონმდებლო ცვლილებებით დადგინდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევისათვის; კერძოდ, ამ წესის დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2000 ლარით, ხოლო იურიდიული პირისა – 10000 ლარით. ამასთანავე, დადგინდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციულსახელდადებელი პირის მიერ იმავე იზოლაციის ან/და კარანტინის წესის განმეორებით დარღვევისათვის (შინაპატიმრობა ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე; იურიდიული პირის შემთხვევაში – ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ლიკვიდაცია და ჯარიმა). გარდა ამისა, დადგინდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით ან/და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისათვის, მათ შორის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევისათვის, თუ ეს წესი საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის ნაწილია; კერძოდ, ხსენებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3000 ლარით, ხოლო იურიდიული პირისა – 15000 ლარით, თუ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამასთანავე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებით დადგინდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციულსახელდადებელი პირის მიერ იმავე საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის განმეორებით დარღვევისათვის (თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვს წლამდე, თუ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით სხვა რამ არ არის დადგენილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ლიკვიდაცია და ჯარიმა, თუ საქართველოს პრეზიდენტის

დეკრეტით სხვა რამ არ არის დადგენილი). საკანონმდებლო ცვლილებები ემსახურება ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) გავრცელების პრევენციასა და შემცირებას, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას. ეს ცვლილებები სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ სხვა ღონისძიებებთან ერთად ქმნის COVID-19-ის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო, ეფექტიან მექანიზმს.

- ▶ საქართველოს პარლამენტის წევრის მიხეილ სარჯველაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „ამნისტიის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/3; 16.12.2020). „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონით ამნისტია გავრცელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ დანაშაულთა ფართო წრეზე და, ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლდნენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული ზოგიერთი დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდებული და მსჯავრდებული პირები, ასევე დანიშნული სასჯელი შეუმცირდათ ან უფრო მსუბუქი სასჯელით შეეცვალათ ცალკეული დანაშაულების ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირებს. ამასთანავე, ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. ამ ცვლილებების თანახმად, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან პირობით გათავისუფლების პირობებს და მისთვის უვადო თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლის პირობებს დაემატა პირობა, რომ მსჯავრდებულმა წარმატებით უნდა გაიაროს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა.
- ▶ საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/441; 04.03.2020). საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატისათვის კითხვარისა და უწყების ჩაბარებისა და მასთან ეფექტიანი კომუნიკაციის მიზნით შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

მომსახურების სააგენტოსგან ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის პირადი ნომრის დახმარებით, ელექტრონული სერვისის მეშვეობით გამოითხოვოს სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო მონაცემებში აღრიცხული სატრანსპორტო საშუალების მფლობელ ფიზიკურ პირზე ან/და მართვის მონმობათა გაცემის რეესტრში აღრიცხული მართვის მონმობის მფლობელ ფიზიკურ პირზე დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომერი. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატისათვის კითხვარისა და უწყების ჩაბარებისა და მასთან ეფექტიანი კომუნიკაციის მიზნით შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს უფლებამოსილ პირს ასევე უფლება აქვს, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მობილური ტელეფონის ნომერი გამოითხოვოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული ბაზებიდანაც. საკანონმდებლო ცვლილება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფრო ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობისა და ბრალდებულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით მინიჭებული სწრაფი მართლმსაჯულების უფლების შეუფერხებლად განხორციელების მიზანს ემსახურება. საკანონმდებლო ცვლილებით გაიზარდა ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატისთვის კითხვარისა და უწყების ჩაბარების შესაძლებლობა და, შედეგად, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე მაქსიმალური რაოდენობის კანდიდატების გამოცხადების ალბათობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განმხილველი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობის მცირე ღროში ჩამოყალიბებას და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეფექტიანობის გაზრდას.

- საქართველოს კანონების პროექტები: „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/402; 18.10.2019). საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოძალადისაგან მსხვერპლის დაცვის მიზნით მოძალადეზე ელექტრონული ზედამხედველობის დანერგვას. ამასთანავე, მოძალადეზე ელექტრონული ზედამხედველობის დანერგვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ არსებობს მოძალადის მიერ ძალადობის განმეორებით ჩადენის რეალური საფრთხე. საფრთხის შეფასებისას მხედველობაში მიიღება სხვადასხვა გარემოება, მათ შორის, წარსულში

მოძალადის მიერ მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის ან/და დამცავი ორდერის დარღვევის ფაქტი და დარღვევის ხასიათი, წარსულში ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მოძალადის მხრიდან მუქარა ან/და მის მიერ ფიზიკური ძალადობის განხორციელებისას ცივი/ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების/დემონსტრირების ფაქტი და სხვა გარემოებები. საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, მოძალადეზე ელექტრონული ზედამხედველობის დანერგვა სასამართლო კონტროლის გზით ხორციელდება (მოძალადეზე ელექტრონული ზედამხედველობის დანერგვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო). ამრიგად, საკანონმდებლო ცვლილებებით შემუშავდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის მიმართულებით დამატებითი ქმედითი მექანიზმი, რაც ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ჩადენის პრევენციასა და სავარაუდო მსხვერპლის უკეთ დაცვას ემსახურება. მოძალადეზე ელექტრონული ზედამხედველობის დანერგვა მნიშვნელოვანი სიახლეა, რაც შემაკავებელი ორდერის მოქმედების განმავლობაში ორდერით გათვალისწინებული შეზღუდვების დარღვევის რისკს ამცირებს, ამასთანავე, უზრუნველყოფს სამართალდამცავი ორგანოების მყისიერ ინფორმირებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი მძიმე შედეგები.

- ▶ საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/468; 10.06.2020). საკანონმდებლო ცვლილებებით გამკაცრდა პასუხისმგებლობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა დანაშაულის არასრულწლოვანის მიმართ ჩადენისათვის. ამასთანავე, გაუქმდა ამ დანაშაულების არასრულწლოვანის მიმართ ჩადენისათვის დანიშნული სასჯელის სრულად პირობითად ჩათვლის, მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებისა და ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა. საკანონმდებლო ცვლილებები ემსახურება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისგან არასრულწლოვანთა დაცვას და სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ სხვა ღონისძიებებთან ერთად ქმნის მათი დაცვის დამატებით მექანიზმს.

- ▶ საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/235; 18.10.2018). საკანონმდებლო ცვლილებით დადგინდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დარღვევის ამსახველი ელექტრონული რუკის ან მისი ბეჭდური გამოცემის, აგრეთვე ასეთი გამოსახულების შემცველი სხვა საგნის დამზადებისთვის, წარმოებისთვის, რეკლამირებისთვის, გამოყენებისთვის, საქართველოში შემოტანისთვის, გადაზიდვისთვის, საქართველოდან გატანისთვის ან რეალიზაციისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელების მიზნით. ამ ქმედების ჩამდენი ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ხოლო იურიდიული პირისთვის სასჯელის სახით განსაზღვრულია ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ლიკვიდაცია და ჯარიმა. ეს საკანონმდებლო ცვლილება, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილების მსგავსად, ხელს უწყობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელების პრევენციას.
- ▶ საქართველოს კანონების პროექტები: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ“, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/445; 04.02.2020). საკანონმდებლო ცვლილებებით შეიქმნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ციფრული მმართველობის სააგენტო და განისაზღვრა მისი უფლებამოსილებები. ციფრული მმართველობის სააგენტო შეიქმნა მომიჯნავე ფუნქციების მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირების – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს და „სმართ ლოჯისტიკის“ რეორგანიზაციისა და მათი უფლებამონაცვლეობის საფუძველზე, კერძოდ, ციფრული მმართველობის სააგენტო გახდა ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებამონაცვლე და შეითავსა მათი

უფლებამოსილებები. საკანონმდებლო ცვლილებები ემსახურება ციფრული მმართველობისა და კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესებას და სერვისების ელექტრონულად მიწოდების სისტემის დახვეწას. საქართველო მუდმივად აუმჯობესებს მიდგომებს ციფრული მმართველობის, ღია მმართველობისა და კიბერუსაფრთხოების საკითხებში. საკანონმდებლო ცვლილებები მიმართულია ციფრული მმართველობის უფრო მეტად განვითარებისა და შესაბამისი მომსახურების ელექტრონულად, ერთი ფანჯრის პრინციპით, უფრო მარტივად და მაღალი ხარისხით მიწოდებისაკენ.

- ▶ საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/156; 19.04.2018). საკანონმდებლო ცვლილებით განისაზღვრა საქართველოს მოქალაქისთვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე უარის თქმის საფუძვლები იმ შემთხვევისთვის, თუ იგი მიემგზავრება ევროკავშირის წევრ/შენგენის ზონის იმ ქვეყანაში, რომელთანაც საქართველოს უვიზო მიმოსვლის რეჟიმი აქვს; კერძოდ, განისაზღვრა საქართველოს მოქალაქისთვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე აღნიშნული უარის თქმის შემდეგი საფუძვლები: საქართველოს მოქალაქეს ეკრძალება ევროკავშირის წევრ/შენგენის ზონის რომელიმე ქვეყანაში შესვლა და ეს ფაქტი ცნობილია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კონტროლის განხორციელების უფლებამოსილების მქონე ორგანოსათვის; ან საქართველოს მოქალაქე არ წარადგენს: ბოლო 10 წლის განმავლობაში გაცემულ შესაბამის ბიომეტრიულ პასპორტს, რომლის მოქმედების ვადაც საქართველოს მოქალაქის მიერ ევროკავშირის ტერიტორიის/შენგენის ზონის დატოვების დღისათვის არანაკლებ 3 თვეა; ევროკავშირის ტერიტორიის/შენგენის ზონის დასატოვებლად საჭირო, ვარჯის სამგზავრო ბილეთს ან ასეთი სამგზავრო ბილეთის მოქმედი ჯავშნის დამადასტურებელ დოკუმენტს; ევროკავშირის ტერიტორიაზე/შენგენის ზონაში მდებარე სასტუმროს ან სხვა საცხოვრებელი ადგილის მოქმედი ჯავშნის დამადასტურებელ დოკუმენტს, ამ სასტუმროში/საცხოვრებელ ადგილზე ცხოვრების უფლების დამადასტურებელ სხვა სათანადო დოკუმენტს ან ევროკავშირის ტერიტორიაზე/შენგენის ზონაში კანონიერად მცხოვრები მასპინძლის თანხმობას თავის საცხოვრებელ ადგილას საქართველოს მოქალაქის განთავსებაზე, აგრეთვე ინფორმაციას აღნიშნული სასტუმროს/საცხოვრებელი ადგილის მისამართის შესახებ; ევროკავშირის ტერიტორიაზე/შენგენის ზონაში მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევის დამადასტურებელ დოკუმენტს; ან მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის საშუალებას ან მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელ დოკუმენტს.

საკანონმდებლო ცვლილება ემსახურება საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირის წევრ/შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის წესების დარღვევის აღბათობის შემცირებას, რათა მომავალში საფრთხე არ შეექმნას ამ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზოდ შესვლის უფლების არსებობას (უვიზო მიმოსვლის რეჟიმს).

- ▶ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/480; 16.07.2020). საკანონმდებლო ცვლილებით დაზუსტდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურები და შემოღებულ იქნა ამ პროცედურებში გადანყვეტილებათა დასაბუთებისა და გასაჩივრების მექანიზმები. ეს საკანონმდებლო ცვლილება დაკავშირებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2019 წლის 1 მაისს განხორციელებულ ცვლილებასთან, რომლითაც შეიქმნა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევის უპრეცედენტოდ ღია, საჯარო, გამჭვირვალე და მაღალი სტანდარტის პროცედურები და რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადანყვეტილებით საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნია (2019 წლის 12 დეკემბერს აღნიშნული პროცედურებით არჩეულ იქნენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები).
- ▶ საქართველოს კანონების პროექტები: „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/457; 05.03.2020). „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონმა ჩაანაცვლა მანამდე

მოქმედი კანონი – საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ და საფუძველი ჩაუყარა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ახალ მიდგომებს. აღსანიშნავია, რომ გადახდისუუნარობის ყველა ღონისძიების მთავარი ორიენტირი გახდა მოვალის საწარმოს რეაბილიტაცია და მოვალის, როგორც ბიზნესის, გადარჩენა. თუმცა, ამავდროულად, გაძლიერდა კრედიტორის როლი, ხოლო კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა უფრო სამართლიანი პრინციპებით განისაზღვრა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ახალი კანონი ითვალისწინებს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის პროფესიას, რაც სიახლეა, და ადგენს, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის მონაწილეობა სავალდებულოა. კანონი ითვალისწინებს აგრეთვე ისეთ მექანიზმებს, როგორცაა გადახდისუუნარობის საქმეზე მმართველის, რეაბილიტაციის ზედამხედველისა და რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით შერჩევის წესი და გადახდისუუნარობის საქმის წარმოების (საწარმოს გაკოტრებისა თუ რეაბილიტაციის საქმის წარმოების) მკაცრი სასამართლო კონტროლი.

- ▶ საქართველოს კანონის პროექტი „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/433; 19.12.2019). საკანონმდებლო ცვლილებით კანონს დაემატა საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე „შავი წერტილების“ იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის მექანიზმები, რაც საგზაო სატრანსპორტო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და მძიმე დაზიანებების თავიდან აცილების მიზნით განხორციელდება. საკანონმდებლო ცვლილება საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილების კენ მიმართული, წინ გადადგმული ნაბიჯია და ხელს უწყობს უსაფრთხო საგზაო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას.

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა 2020 წლის განმავლობაში გამართა 21 სხდომა. განხილულ იქნა 29 კანონპროექტი, რომელთაგან 8 კანონპროექტი მან განიხილა წამყვანი კომიტეტის სტატუსით. კომიტეტის სხდომაზე რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტი განხილულ იქნა 18-ჯერ.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა განიხილა 15 საერთაშორისო ხელშეკრულება/ შეთანხმება, კონვენცია.

აღსანიშნავია შემდეგი კანონპროექტები:

➤ საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს კანონების პროექტები: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. კანონპროექტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიენიჭება უფლებამოსილება, საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალ დასახლებაში/დასახლების ნაწილში/დასახლებათა ერთობლიობაში დააფუძნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის უფლებამოსილება იქნება შესაბამის ტერიტორიაზე კანონით გათვალისწინებული შემდეგი უფლებამოსილებების განხორციელება: ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება, ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, მუნიციპალური ნარჩენების მართვა, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა, მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობაზე საჯარო ზედამხედველობის განხორციელება, გარე რეკლამის განთავსების ადმინისტრირება.

➤ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“. კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად თბილისის მთავრობას მიეცემა უფლება, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, უშუალოდ საგანგებო მდგომარეობის დროს ან მისი გაუქმების შემდეგ მიმართოს საკრებულოს და მოითხოვოს აუქციონის ფორმით პრივატიზებული თბილისის ქონების შემძენისთვის, სარგებლობის უფლებით გადაცემული ან მართვის უფლებით გადაცემული თბილისის ქონების მიმღებისთვის ამ ქონებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პირობის შეცვლა ან გაუქმება ან/და ფინანსური პირობის შეცვლა. საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, თბილისის ქონებით მოსარგებლე პირების მიმართ ამოქმედდება საშელავათო რეჟიმი, რაც, ცხადია, მათ ფინანსურ მდგომარეობაზე დადებით გავლენას მოახდენს.

➤ საქართველოს კანონის პროექტი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. კანონპროექტით დაუსრულებელი მშენებლობების ობიექტები თავისუფლდებიან სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდისაგან. ამასთანავე,

იმას, თუ რომელი ობიექტი შეიძლება ჩაითვალოს დაუმთავრებელ მშენებლობად, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

➤ საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. კანონპროექტის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიასთან გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარე დასახლებას მიენიჭება მაღალმთიანი დასახლებების სტატუსი. კრიტერიუმების განხილვის გარეშე, მაღალმთიანი დასახლებების სტატუსი მიენიჭება 80% ან მეტი მაღალმთიანი დასახლებების მქონე მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებასაც, რომელიც 800 მეტრ ან მეტ ჰიფსომეტრიულ სიმაღლეზე მდებარეობს. ამასთანავე, ზღვის დონიდან 2000 მეტრის ან მეტ სიმაღლეზე მდებარე დასახლებაში პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მისანიჭებლად, ნაცვლად 9 თვით ფაქტობრივად ცხოვრების პირობისა, განისაზღვრება 6 თვით ფაქტობრივად ცხოვრების პირობა.

➤ საქართველოს კანონის პროექტი „ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. კანონპროექტით დაწესდება გაზრდილი სანქციები ნარჩენების მართვის სფეროში ჩადენილი კონკრეტული გადაცლომებისათვის. აღმინისტრირების გამკაცრებით ნორმების აღსრულების მექანიზმი უფრო მოქნილი და ეფექტიანი გახდება. გარდა ამისა, კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებებით აღმოიფხვრება კოდექსის ცალკეული ნორმების არასწორი განმარტების შესაძლებლობა. კანონის მიღების შედეგად ნარჩენების მართვის სფეროში ახალი მარეგულირებელი ნორმა დადგინდება, რითაც ამაღლდება ნარჩენების მართვის კოდექსის მოქმედებისა და მისი ნორმების ეფექტიანად გამოყენების სტანდარტი.

➤ საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს კანონების პროექტები: „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. კანონის მიღების შედეგად კანონით დარეგულირდება სხვადასხვა ქმედება, ისინი განისაზღვრება სამართალდარღვევად და დაწესდება შესაბამისი ჯარიმები, გაუმჯობესდება საჯარიმო ქვითრის/დადგენილების ჩაბარების წესი, ჯარიმების აღსრულებასთან დაკავშირებული მექანიზმი კი გაცილებით მოქნილი და ეფექტური გახდება, რაც, საბოლოოდ, ხელს შეუწყობს საგზაო მოძრაობის წესების გაუმჯობესებას.

➤ საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და მისგან გამომდინარე კანონპროექტები. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა სრულად გამიჯვნისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებათა დელეგირების მიზნით შესაბამისი სფეროების განსაზღვრა და საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო აქტის პროექტის წარდგენა. აღნიშნული კანონპროექტის მომზადების მიზანია კოდექსის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და კოდექსში არსებული ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი ხარვეზების გასწორება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა სრული გამიჯვნა და მუნიციპალიტეტებთან დაკავშირებულ სამართლებრივ აქტებში ერთგვაროვანი ტერმინოლოგიის დამკვიდრება.

➤ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“. კანონპროექტის თანახმად, პანდემიის ან/და ეპიდემიის დროს თბილისის მთავრობას ექნება შესაძლებლობა, თბილისის საკრებულოს არაუგვიანეს 2021 წლის 1 ივლისისა წარუდგინოს წინადადება აუქციონის ფორმით პრივატიზებული თბილისის ქონების შემძენისთვის, სარგებლობის უფლებით გადაცემული ან მართვის უფლებით გადაცემული თბილისის ქონების მიმღებისთვის ამ ქონებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პირობის შეცვლის ან გაუქმების ან/და ფინანსური პირობის შეცვლის შესახებ. აღნიშნული უფლებამოსილება თბილისის მთავრობას 2021 წლის 1 იანვრამდე ჰქონდა. ახლა ამ უფლებამოსილების ვადა 2021 წლის 1 ივლისამდე გრძელდება.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი

საქართველოს IX და X მოწვევების პარლამენტში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 2020 წელს განახორციელა საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და კომიტეტის დებულებით გათვალისწინებული საკანონმდებლო საქმიანობა.

2020 წლის განმავლობაში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მიერ ინიცირებულ იქნა მხოლოდ „საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია. აღნიშნული რეზოლუციით ახალი

მონვევის პარლამენტმა მომდევნო 4 წლისთვის განსაზღვრა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები. 2016 წლის რეზოლუციისგან განსხვავებით, 2020 წლის რეზოლუციაში აისახა ახალი მიმართულებები და დეტალურად განისაზღვრა თითოეული პრიორიტეტი.

წამყვანი კომიტეტის ან იმ კომიტეტის სტატუსით, რომლის დასკვნაც სავალდებულოა, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა განიხილა შემდეგი კანონპროექტები:

- საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-2/376; 25.07.2019);
- საქართველოს კანონის პროექტი „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/432; 11.12.2019);
- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/484; 09.06.2020);
- „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული მასალები და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამისი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (№07-2/525; 01.10.2020).

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა განიხილა აგრეთვე შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებები:

- „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)“ (№07-2/437; 14.01.2020);

- „2018 წლის 5 იანვრის „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი – კლიმატური პირობებისადმი მდგრადობის გაუმჯობესება)“ №1 ცვლილების შეთანხმება“ (№07-2/438; 23.01.2020);
- „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამხედრო ფინანსური თანამშრომლობის შეთანხმება“ (№07-2/439; 23.01.2020);
- „2017 წლის 12 ივნისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი)“ №2 ცვლილების წერილ-შეთანხმება“ (№07-2/446; 14.02.2020);
- „2011 წლის 1 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა – პროექტი 2)“ □6 ცვლილების წერილ-შეთანხმება“ (№07-2/454; 27.02.2020);
- „იაპონიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის „იაპონიის საზღვარგარეთთან თანამშრომლობის მოხალისეთა პროგრამის“ ფარგლებში საქართველოში მოხალისეების გაგზავნის შესახებ“ ნოტების გაცვლის გზით დადებული შეთანხმება (№07-2/435; 13.01.2020);
- „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტი)“ (№07-2/471; 07.05.2020);
- „საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის საკრედიტო შეთანხმება (საქართველოს ენერჯეტიკის სექტორის რეფორმა)“ (№07-2/477/9);
- „საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის საკრედიტო შეთანხმება (სოციალური კეთილდღეობის პროგრამა)“ (№07-2/476/9);
- „საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტი – საქართველო)“ (№07-2/475/9);
- „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (თბილისის მეტროს პროექტი)“ (□07-2/478/9);
- „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (რეგიონალური და მუნიციპალური

ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის დამატებითი დაფინანსება“ (№07-2/479/9);

- „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (COVID-19-ზე საგანგებო რეაგირებისა და დანახარჯების მხარდამჭერი პროგრამა)“;
- „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმება (პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი (PBL) III)“;
- „საქართველოს (მიმღები) და სკანდინავიურ გარემოს საფინანსო კორპორაციას (როგორც E5P-ის დაფინანსებული პროექტის „საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის გამოყენება“ განმახორციელებელი სააგენტო) შორის საგრანტო შეთანხმების“ №1 ცვლილების შეთანხმება“ (№07-2/499; 14.07.2020);
- „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (განვითარების პოლიტიკის ღონისძიება ეკონომიკური მართვისა და კონკურენტუნარიანობისთვის: დამატებითი სესხი COVID-19-ზე რეაგირებისთვის)“ (№07-2/498; 13.07.2020);
- „საქართველოს და სკანდინავიურ გარემოს საფინანსო კორპორაციას შორის სასესხო შეთანხმების (საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის გამოყენება)“ №1 ცვლილების შეთანხმება“ (№07-2/500; 14.07.2020);
- „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ბაკურიანის მუნიციპალური მომსახურების პროექტი)“;
- „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ლოგისტიკის დარგში განსახორციელებელი ოქმი“ (2016 წ.) (№07-2/505; 24.07.2020);
- „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ლოგისტიკის დარგში განსახორციელებელი ოქმი“ (2017 წ.) (№07-2/506; 24.07.2020);
- „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური თანამშრომლობის შესახებ (2019)“ შეთანხმება (№07-2/507; 07.08.2020);

- „2014 წლის 13 მაისის „საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური პროტოკოლის“ ცვლილების წერილ-შეთანხმება“ (№07-2/508; 14.08.2020);
- „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმება (პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი (PBL) „საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისა და კრიზისის მიმართ მდგრადობის გასაძლიერებლად““ (№07-2/509; 17.08.2020);
- „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმება (კომუნალური ინფრასტრუქტურა გარემოსა და ტურიზმისათვის (ტრანშები „ა“ და „ბ“))“ (№07-2/510; 17.08.2020);
- „საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ეკონომიკური მართვისა და კონკურენტუნარიანობის პროგრამა: COVID-19-ის კრიზისის შემსუბუქება)“ (№07-2/511; 17.08.2020);
- „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW“), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმების (ბათუმის კომუნალური წყლის ინფრასტრუქტურა)“ შეწყვეტის შესახებ წერილ-შეთანხმება“ (№07-2/512; 17.08.2020);
- „საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის საკრედიტო შეთანხმება (ქალაქ ხაშურისა და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის მომსახურების გაუმჯობესება)“ (№07-2/513; 19.08.2020);
- „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (საქართველოს ენერგეტიკული ქსელის გაძლიერების პროექტი)“ (№07-2/514; 24.08.2020);
- „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (პროექტი Log-In Georgia)“ (№07-2/518; 08.09.2020);
- „2019 წლის 18 ივნისის „საქართველოსა და რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტი – საქართველო 12Q)“ პირველი ცვლილება“ (№07-2/523; 25.09.2020);

- „საქართველოსა (როგორც სესხის მიმღებსა) და ევროკავშირს (როგორც სესხის გამცემს) შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი (მაკროფინანსური დახმარება საქართველოსათვის 150 მილიონ ევრომდე)“ და „საქართველოსა (როგორც სესხის მიმღებსა) და საქართველოს ეროვნულ ბანკს (როგორც სესხის მიმღების ფინანსურ აგენტს) და ევროკავშირს (როგორც სესხის გამცემს) შორის სასესხო შეთანხმება (მაკროფინანსური დახმარება საქართველოსათვის)“ (№07-2/524; 25.09.2020);
- „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ფისკალური მდგრადობის და სოციალური დაცვის პროგრამა)“;
- „2013 წლის 20 აგვისტოს „საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის ფინანსური ხელშეკრულების (წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II)“ №2 ცვლილების წერილ-შეთანხმება“;
- „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW“), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმება (COVID-19-ის პანდემიის კონტექსტში სოციალური უსაფრთხოება)“;
- „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის მდგრადი განვითარების პროექტი)“;
- „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის მდგრადი განვითარების პროგრამა)“;
- „საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის (საქართველო – აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი – A)“ და „საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის (საქართველო – აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი – B)“ ფინანსურ ხელშეკრულებებში №3 ცვლილების შეტანის შესახებ“ წერილ-შეთანხმება;
- „2019 წლის 29 ნოემბრის „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამა)“ №1 ცვლილების შეთანხმება“;
- „საქართველოსა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს შორის დაფინანსების შეთანხმება (მერძევეობის დარგის მოდერნიზაცია და ბაზარზე წვდომა: ადაპტაციის კომპონენტი (DiMMAdapt)“.

საკროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში გაიმართა საკროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის 21 სხდომა. მთლიანობაში, კომიტეტმა იმუშავა 59 საკანონმდებლო აქტისა და 4 საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტზე, კერძოდ:

- წამყვანი კომიტეტის სტატუსით განხილულ იქნა 11 საკანონმდებლო აქტის პროექტი (2 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი, 2 საკანონმდებლო პაკეტი, რომლებიც მოიცავდა 7 კანონპროექტს და 2 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტს) და 4 საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი;
- იმკომიტეტის სტატუსით, რომლის დასკვნაც სავალდებულოა, განხილულ იქნა 48 საკანონმდებლო აქტის პროექტი (1 კანონპროექტი, 1 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი, 6 საკანონმდებლო პაკეტი, რომლებიც მოიცავდა 5 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტს და 41 კანონპროექტს).

მათ შორის აღსანიშნავია:

- ▶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ“, საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, საქართველოს კანონების პროექტები: „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (N⁰07-3/456; 25.05.2020). ცვლილებით: საპარლამენტო საქმიანობაში გაიზარდა ფრაქციათა როლი და ჩამოყალიბდა მათი შექმნის ახალი წესი; ახლებურად განისაზღვრა საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის არსი და მათი სიების რეგისტრაციის წესი; შეიცვალა გრადაცია, რომელიც უკავშირდება, ერთი მხრივ, საპარლამენტო თანამდებობებს და, მეორე მხრივ, გარკვეული თანამდებობებისთვის დადგენილ გასამრჯელოს; განხორციელდა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების განწესების პრინციპის რეგლამენტირება; განხორციელდა საპარლამენტო თანამდებობების ჩამონათვალის კორექტირება; შეიცვალა პოლიტიკურ

დებატებში (მათ შორის, ინტერპელაციის პროცედურის ფარგლებში გასამართ დებატებში) გამომსვლელთათვის დროის განაწილების წესი; აგრეთვე განხორციელდა ტექნიკური ცვლილებები.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა 2020 წლის განმავლობაში გამართა 28 სხდომა, რომლებზედაც განხილულ იქნა 647 საკითხი; მათ შორის, 318 საკითხზე კომიტეტი იყო წამყვანი, ხოლო 329 საკითხზე მოამზადა სავალდებულო დასკვნა.

ამასთანავე, კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში განიხილა 47 საერთაშორისო ხელშეკრულება/შეთანხმება, კონვენცია, რომელთა უმეტესობაზე კომიტეტი იყო წამყვანი.

აღსანიშნავია შემდეგი კანონპროექტები:

➤ საქართველოს კანონის პროექტი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“. კანონის მიღების მიზანი იყო: ისეთი სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომელშიც იარსებებდა რეაბილიტაციის წამახალისებელი ეფექტიანი მექანიზმები, და ყველა კრედიტორის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მაქსიმალურად ეფექტიანი და სამართლიანი დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა; სასამართლოსთვის დროულად მიმართვის წახალისება; გადახდისუნარობის საქმის წარმოებაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და პროცესის მიმდინარეობის დაჩქარება; პროცესში მონაწილე პირთა თანასწორუფლებიანობა; გადახდისუნარობის პრაქტიკოსის პროფესიის საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა.

➤ საქართველოს კანონის პროექტი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“. განხორციელებული ცვლილებებით უზრუნველყოფილ იქნა კანონმდებლობის შესაბამისობა 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის 2009/65/EC დირექტივასთან, რომელიც არეგულირებს მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში კოლექტიური ინვესტიციების განსახორციელებლად შექმნილ საინვესტიციო ფონდს (UCITS). მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებებით კანონმდებლობა დაუახლოვდა ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO) მიერ დადგენილ პრინციპებს, რომლებიც საინვესტიციო ფონდების რეგულირებას ეხება.

➤ საქართველოს კანონის პროექტი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. კანონპროექტი მომზადდა

ევროკავშირში მოქმედ შესაბამის დირექტივებზე დაყრდნობით და მიზნად ისახავდა კანონმდებლობაში არსებული პრობლემების (ხარვეზები საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების პერიოდული ანგარიშგების კუთხით; საჯარო წილობრივი ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა; ინსაიდერული ვაჭრობა და ბაზრის მანიპულაცია; პრივატიზებული საწარმოების სტანდარტებთან შეუსაბამობა; კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები ემიტენტთა გამჭვირვალობისა და საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თვალსაზრისით) გადაწყვეტას; იმის უზრუნველყოფას, რომ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სტატუსი მხოლოდ ისეთ კომპანიებს ჰქონდეს, რომლებიც შეძლებენ კანონის მოთხოვნების დაკმაყოფილებას; ინვესტორთა დაცულობის ხარისხის გაზრდას; საერთაშორისო ბაზრის მონაწილეების ნდობისა და დაინტერესების უზრუნველყოფას, რათა შემცირდეს ბარიერები განვითარებულ ქვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობისთვის.

➤ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“. კანონპროექტით განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს ზედამხედველობის ფუნქციის მინიჭება. ამ მიზნით კანონპროექტით გათვალისწინებული იყო საქართველოს ეროვნული ბანკის სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, დამატებითი სტრუქტურული ერთეულების შექმნა, აგრეთვე არსებული ერთეულის უფლებებისა და ფუნქციების/მოვალეობების გაძლიერება და გაფართოება.

➤ საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. იგი ეხება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ-ის) რეფორმას. ცვლილებები შეტანილ იქნა კოდექსის დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ-ის) მარეგულირებელ თითქმის ყველა მუხლში. შესაბამისად, მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები სრულიად ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა. შენარჩუნდა ყველა ნორმა და მექანიზმი, რომლებიც ამარტივებს დღგ-ის ადმინისტრირების პროცესს, დღგ-ის 18%-იანი განაკვეთი, რეგისტრაციის 100 000-ლარიანი ზღვარი, ცვლილებამდე არსებული საგადასახადო შეღავათები და სხვა. ცვლილების განხორციელების მიზანი იყო საგადასახადო კანონმდებლობის „დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო სისტემის შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/112/EC დირექტივასთან დაახლოება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კომიტეტმა განიხილა სხვა მნიშვნელოვანი კანონ-პროექტებიც:

საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“;

საქართველოს კანონების პროექტები: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ განეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო ფონდში დაცული დოკუმენტების გაცნობისათვის ან/და გაცემისათვის დადგენილი მომსახურების სახეობებისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

საქართველოს კანონების პროექტები: „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღების შესახებ“ და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

საქართველოს კანონის პროექტი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

საქართველოს კანონების პროექტები: „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მონეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და სხვა.

საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი იყო შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებები:

- „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)“;
- „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი)“;
- „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (თბილისის მეტროს პროექტი)“;
- „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის დამატებითი დაფინანსება)“;

- „2014 წლის 21 ნოემბრის „საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (IDA) შორის დაფინანსების ხელშეკრულების (ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტი)“ ცვლილება“;
- „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური თანამშრომლობის შესახებ (2019)“ შეთანხმება;
- „2014 წლის 13 მაისის „საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური პროტოკოლის“ ცვლილების წერილ-შეთანხმება“;
- „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმება (კომუნალური ინფრასტრუქტურა გარემოსა და ტურიზმისათვის (ტრანშები „ა“ და „ბ“))“;
- „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW“), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმების (ბათუმის კომუნალური წყლის ინფრასტრუქტურა)“ შეწყვეტის შესახებ წერილ-შეთანხმება“;
- „საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის საკრედიტო შეთანხმება (ქალაქ ხაშურისა და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის მომსახურების გაუმჯობესება)“;
- „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (საქართველოს ენერგეტიკული ქსელის გაძლიერების პროექტი)“;
- „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ბაკურიანის მუნიციპალური მომსახურების პროექტი)“;
- „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (პროექტი Log-In Georgia)“;
- „საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის (საქართველო – აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი – A)“ და „საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის (საქართველო – აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი – B)“ ფინანსურ ხელშეკრულებებში №3 ცვლილების შეტანის შესახებ“ წერილ-შეთანხმება;

- „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი)“ №3 ცვლილების წერილ-შეთანხმება“.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი

2020 წლის განმავლობაში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა განიხილა 31 კანონპროექტი და 2 საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი. მათ შორის აღსანიშნავია საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“ (№07-3/474; 24.06.2020). დოკუმენტი განსაზღვრავს 5 სტრატეგიულ პრიორიტეტს: 1) საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა; 2) ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა; 3) ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა; 4) ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება; 5) ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეებზე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სრულყოფა. იგი განსაზღვრავს აგრეთვე 22 მოსალოდნელ შედეგს. დოკუმენტის შემუშავებას წინ უსწრებდა საქართველოს 12 მუნიციპალიტეტში 300-მდე ახალგაზრდასთან პირისპირ შეხვედრა და 1400-მდე ახალგაზრდის ონლაინგამოკითხვა. დოკუმენტი მოამზადა პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა გაეროს სააგენტოების (UNFPA, UNICEF, UNDP, UNIDO, ILO) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3nUMzjN>

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი საქმიანობა:

- წამყვანი კომიტეტის სტატუსით განხილულია და შემდგომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია 8 საკანონმდებლო ინიციატივა (33 კანონი);
- კომიტეტისა და კომიტეტის წევრების მიერ ინიცირებულია და შემდგომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია 5 საკანონმდებლო ინიციატივა (11 კანონი);

- კომიტეტის მიერ განხილულია 19 საკანონმდებლო ინიციატივა (263 კანონპროექტი), 6 საერთაშორისო შეთანხმება, 8 საკანონმდებლო წინადადება;
- შემუშავებულია 51 დასკვნა;
- გამართულია კომიტეტის 29 სხდომა IX მოწვევის პარლამენტში და 2 სხდომა X მოწვევის პარლამენტში;
- განხილულია 1200-მდე განცხადება/წერილი.

კომიტეტისა და კომიტეტის წევრების მიერ ინიცირებული და პარლამენტის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი კანონებია:

- „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი და მისგან გამომდინარე 3 კანონი

კანონით მოხდა ფსიქიატრიული სერვისებისა და დაწესებულებების მონიტორინგის მექანიზმის დანერგვის სრულყოფა. ეს ინსტრუმენტი ხელს შეუწყობს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ადამიანის უფლებათა სტანდარტებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

- „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი და მისგან გამომდინარე 1 კანონი

კანონის მიღებით ქვეყნის შესაბამის უწყებებს შესაძლებლობა მიეცათ, საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ გაეგრძელებინათ ეფექტიანი ბრძოლა კორონავირუსით (COVID-19-ით) გამომწვეული ეპიდემიის/პანდემიის წინააღმდეგ და განეხორციელებინათ შექმნილ ვითარებასთან გამკლავებისთვის აუცილებელი ყველა ორგანიზაციული, სამართლებრივი და სხვა ღონისძიება. განახლებული საკანონმდებლო ნორმები სახელმწიფოს მომავალშიც მისცემს საშუალებას, რომ მსგავს სიტუაციებში შესაბამისად იმოქმედოს.

- „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი და მისგან გამომდინარე 5 კანონი

კანონით განისაზღვრა დასაქმების ხელშეწყობის ერთიანი პრინციპები: დასაქმების ხელშეწყობი საქმიანობის ინდივიდუალიზაცია, საქმიანობის არჩევანის თავისუფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა, მიუკერძოებლობა, სამუშაოს მაძიებლის მოტივაცია, საჯარო-კერძო პარტნიორობა, დასაქმების ხელშეწყობის უფასო სახელმწიფო სერვისი, ერთი თანჯრის პრინციპი.

კანონით განისაზღვრა დასაქმების ხელშეწყობის პროცედურული ღონისძიებები: სამუშაოს მაძიებლად რეგისტრაცია, რეგისტრირებულ პირთა მონაცემების დამუშავება, სამუშაოს მაძიებელთა ინფორმირება და კონსულტირება, მათი დასაქმების შანსების შეფასება, სამუშაოს მაძიებელთა გადაამზადება, სამუშაოს

მაძიებელთა დასაქმება, დამსაქმებელთა ხელშეწყობა და მეტი მოქალაქის დასასაქმებლად მათი მოტივაციის გაზრდა.

კანონის მოსალოდნელი შედეგია არა მხოლოდ დასაქმებული მოქალაქეების რაოდენობის ზრდის უზრუნველყოფა, არამედ საზოგადოების სოციალური ფონის გაუმჯობესება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.

- „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და მისგან გამომდინარე 14 კანონი

კანონთა პაკეტით დარეგულირდა მანამდე დაურეგულირებელი ან არასრულყოფილად რეგულირებული შრომითსამართლებრივი საკითხები. საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფის მიზნით კანონით მოწესრიგდა შემდეგი საკითხები: დისკრიმინაციის აკრძალვა; ზეპირი და ვადიანი შრომითი ხელშეკრულება; შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები; სტაჟიორის სამართლებრივი სტატუსი; არასრული სამუშაო განაკვეთი; სამუშაო დრო; დასვენების/შესვენების უფლება; ზეგანაკვეთური სამუშაო; ცვლაში მუშაობა; ღამით მუშაობა; ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება, ბავშვის მოვლის გამო შვებულება, რომელიც მოიცავს აგრეთვე მამების ანაზღაურებადი შვებულების უფლებას; შრომის ანაზღაურება და მინიმალური ხელფასი; მასობრივი დათხოვნა; სანარმოთა გადაცემა; გათვიცვის უფლება; კოლექტიური შრომითი მედიაცია; ინფორმაცია და კონსულტაცია სამუშაო ადგილზე; შრომით უფლებებთან დაკავშირებით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება. კანონის მიღების შედეგად შეიქმნება შრომის ინსპექციის სამსახური.

კანონთა პაკეტი ხელს შეუწყობს შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტების განვითარებას, დახვეწასა და გაუმჯობესებას. სახელმწიფო დამსაქმებელთა მიერ შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაზე ქმედით ზედამხედველობას განახორციელებს.

კომიტეტის მიერ მხარდაჭერილი და პარლამენტის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი კანონია (საქართველოს მთავრობის ინიციატივა):

- „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი

კანონით განისაზღვრა სახელმწიფო პენსიის შემდგომი ზრდის წესი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო პენსიის ეკონომიკურ პარამეტრებზე დაყრდნობით ინდექსაციას. სქემა უზრუნველყოფს პენსიის ყოველწლიურად ზრდას. სახელმწიფო პენსიის ინდექსაციის წესის შემოღებით უზრუნველყოფილი იქნება როგორც ფისკალური მდგრადობა, ისე პენსიის მიმღები მოსახლეობის დაცულობა ფასების ზრდის ნეგატიური გავლენისგან.

2. საპარლამენტო კონტროლი

საპარლამენტო კონტროლი საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური პრეროგატივაა.

2019 წელს განხორციელებული ცვლილებებით არსებითად გაუმჯობესდა პარლამენტის შესაძლებლობები საპარლამენტო კონტროლისა და ზედამხედველობის კუთხით. 2020 წელს, პანდემიის პირობებშიც კი, პარლამენტი აქტიურად ახორციელებდა საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ მაკონტროლებელ უფლებამოსილებებს, იყენებდა საზედამხედველო ინსტრუმენტებს და აკონტროლებდა საქართველოს მთავრობის საქმიანობას. კერძოდ:

საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ინტერპელაციის წესით მოწვეული იყვნენ: 2020 წლის 29 მაისს – საქართველოს პრემიერ-მინისტრი და 2020 წლის 18 სექტემბერს – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

2020 წლის 27 მაისს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე შედგა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოსმენა.

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 26 ივნისის პლენარულ სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა წარმოადგინა და პარლამენტმა მოისმინა „2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენება“.

მინისტრის საათის ფორმატში 2020 წელს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოხსენებები წარადგინეს: 5 თებერვალს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, 20 თებერვალს – საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, 6 მარტს – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, 12 ივნისს – საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

საზედამხედველო საქმიანობის თარგლებში საქართველოს პარლამენტის წევრებმა შესაბამის უწყებებს გაუგზავნეს 843 წერილობითი კითხვა (პარლამენტის წევრის კითხვა), რომელთაგან წერილობითი პასუხი გაეცა 663 კითხვას.

მოსმენილ იქნა საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში შექმნილი თემატური მოკვლევების ჯგუფების მიერ წარმოდგენილი შემდეგი დასკვნები:

- „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის“ (მომხსენებელი – საქართველოს პარლამენტის წევრი გუგული მალრაძე);

- „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამაში ქალთა მონაწილეობის შესახებ“ (მომხსენებელი – საქართველოს პარლამენტის წევრი ნინო წილოსანი);
- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისათვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის საკითხები“ (მომხსენებელი – საქართველოს პარლამენტის წევრი რატი იონათამიშვილი);
- „საქართველოში ადამიანების სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ“ დასკვნა (მომხსენებელი – საქართველოს პარლამენტის წევრი ზაზა გაბუნია).

2020 წლის 24 ივნისის პლენარულ სხდომაზე საქართველოს პარლამენტმა მოისმინა და №6483-III დადგენილებით დაამტკიცა საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ საქართველოს მთავრობის ანგარიში.

2020 წელს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომებზე მოსმენილ იქნა საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ წარმოდგენილი 2019 წლის საქმიანობის შესახებ შემდეგი ანგარიშები:

- საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“;
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში;
- „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში“;
- „საქართველოს ეროვნული ბანკის 2019 წლის წლიური ანგარიში“;
- „საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებებზე“.

2020 წელს საქართველოს პარლამენტში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 260 განცხადება (მათ შორის, მოქალაქეთა 145 განცხადება), რომლებზედაც ოფიციალური პასუხები და შესაბამისი მასალა გაეგზავნათ ადრესატებს.

2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს პარლამენტის აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტში რეგისტრირებულია 45216 დოკუმენტი, კერძოდ: შემოსული – 18512, შიდა მიმოწერა – 12225, გასული – 10627, სამართლებრივი აქტი – 3852.

უფრო კონკრეტულად, საპარლამენტო ზედამხედველობის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა განახორციელეს შემდეგი ძირითადი აქტივობები:

აბრარულ საკითხთა კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში კომიტეტი ახორციელებდა კონტროლს საქართველოს მთავრობის საქმიანობაზე. კომიტეტმა საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში განიხილა 6 საკითხი, რომლებიც უკავშირდებოდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მისი მმართველობის სფეროში შემავალი უწყებების საქმიანობას და პროექტების განხორციელების მიმდინარეობას. აღნიშნული საკითხების განხილვას კომიტეტის 4 სხდომა დაეთმო:

1. კომიტეტის 2020 წლის 5 ივნისის სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში სოფლის მეურნეობის მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;
2. კომიტეტის 2020 წლის 15 ივნისის სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ (№07-2/473/9; 25.05.2020);
3. კომიტეტის 2020 წლის 6 ივლისის სხდომაზე:
 - მოსმენილ იქნა ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ განეული საქმიანობის შესახებ;
 - მოსმენილ იქნა ინფორმაცია ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ განეული საქმიანობის შესახებ;
4. კომიტეტის 2020 წლის 14 სექტემბრის სხდომაზე:
 - მოსმენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიში“ (№1-10762/20; 31.07.2020);
 - მოსმენილ იქნა ინფორმაცია სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განეული საქმიანობის შესახებ.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

2020 წელს კომიტეტში შემოვიდა და დამუშავდა მოქალაქეთა 2107 განცხადება. შემდგომი რეაგირების მიზნით კომიტეტმა შესაბამის სამსახურებს გაუგზავნა 1221

წერილი. შემოსული განცხადებების შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია: მომართვების 28.3% ეხებოდა გამოძიებასა და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საკითხებს; წერილების 22.3% უკავშირდებოდა სასჯელალსრულების თემატიკას; სასჯელისგან გათავისუფლებას და შეწყობას ითხოვდა განმცხადებლების 14.9%; სოციალურ საკითხებს ეთმობოდა წერილობითი მომართვების 9.7%; მოქალაქეთა 6.4% ითხოვდა იურიდიულ დახმარებას; წერილების 4.8% ეხებოდა დევნილთა და საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვადასხვა საჭიროების დაკმაყოფილებას; ინფრასტრუქტურის მონესრიგებას ითხოვდა მოქალაქეთა 2.2%; ჯანმრთელობის დაცვის უფლებას ეხებოდა წერილების 1.8%, ხოლო მომართვების 9.5% გადანაწილდა სხვადასხვა საკითხზე (შშმ პირთა უფლებები, შრომითი უფლებები, ქონებრივი დავები, ბავშვთა უფლებები, საკუთრების უფლება, განათლების უფლება და სხვა).

საპარლამენტო ზედამხედველობის ეფექტიანად განხორციელებისთვის კომიტეტის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მოსმენა. ზედამხედველობის პროცესში გამოვლენილ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით კომიტეტი გასცემს რეკომენდაციებს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიმართ და ახორციელებს მათ მიერ დარღვევებზე რეაგირების მონიტორინგს. კომიტეტმა 2020 წელს განიხილა ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ წარმოდგენილი 20-მდე ანგარიში, მათ შორის:

- საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“;
- „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 20 სექტემბრის №5003-ლს დადგენილებით გაცემული 259 დავალების შესრულების მდგომარეობა;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის 2019 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში;
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2019 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში;
- ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის 2019 წლის ანგარიში;
- სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2019 წლის ანგარიში;

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ 2019 წლის ანგარიში;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ 2019 წლის ანგარიში;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით დადგენილი წესით საჯარო დაწესებულებების მიერ პარლამენტისათვის წარმოდგენილი 2019 წლის ანგარიშები;
- „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს IX და X გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების“ პროექტი;
- „ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2018 წლის შესრულების შუალედური ანგარიში“ და „ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2019 წლის შესრულების შუალედური ანგარიში“;
- „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018–2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2018 წლის ანგარიში“ და „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018–2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2019 წლის ანგარიში“;
- „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018–2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების 2018 წლის ანგარიში“ და „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018–2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების 2019 წლის ანგარიში“;
- „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მე-3 ციკლის ფარგლებში საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს ეროვნული ანგარიში 2020-ის“ პროექტი;

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სპეციალური პენიტენციური სამსახურის №2, №8, №14 და №15 პენიტენციურ დაწესებულებებში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საფუძველზე მომზადებული საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში.

საპარლამენტო ზედამხედველობის ფარგლებში კომიტეტი ახორციელებს მისი გამგებლობისთვის მიკუთვნებულ სფეროებში ნორმატიული აქტების გარდამავალი დებულებებით აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისათვის განსაზღვრული დავალებების შესრულების მონიტორინგს.

ამ მიმართულებით აღსანიშნავია კომიტეტის მიერ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, საქართველოს იუსტიციის, საქართველოს შინაგან საქმეთა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროებში გაგზავნილი კითხვები შემდეგი კანონების აღსრულების მონიტორინგის მიზნით:

- საქართველოს კანონი (№5024-III, 20.09.2019) „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- საქართველოს კანონი (№2519-III, 13.06.2018) „სოციალური მუშაობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი (№5390-III, 29.11.2019) „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- საქართველოს კანონი (№6053-III, 10.06.2020) „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მიღებული პასუხების თანახმად, აღნიშნული ვალდებულებების შესრულების მიზნით საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემულ იქნა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა რთული ქცევის მქონე და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის გრძელვადიანი სერვისის შესაქმნელად და ხორციელდება არაერთი შესაბამისი ღონისძიება.

დანყებულის სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირების პროცესი და უზრუნველყოფილია მათ მიერ სურვილის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული სერტიფიცირების გავლა.

შესაბამისი უწყებები აგრძელებენ მუშაობას და სათანადო ღონისძიებების განხორციელებას კანონით განსაზღვრული ყველა ვალდებულების სრულად შესრულების მიზნით.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ უწყებებიდან მიღებული ინფორმაცია კომიტეტმა მიაწოდა პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.

კომიტეტი, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილავს და რეაგირებას ახდენს მოქალაქეთა მომართვებზე. კორესპონდენციაზე მუშაობის გარდა, კომიტეტი ხშირად მოქალაქეებთან პირად საკონსულტაციო შეხვედრებს მართავს და სატელეფონო კომუნიკაციას ახორციელებს.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი

საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში კომიტეტმა მოისმინა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ანგარიში განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა მოისმინა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ შემდეგი ანგარიშები:

- ▶ საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ (№07-2/473; 25.05.2020);
- ▶ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის მიმოხილვა (№04-02/41636; 30.04.2020);
- ▶ საქართველოს მთავრობის მოხსენება „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

2020 წლის განმავლობაში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა განახორციელა ზედამხედველობა სხვადასხვა კანონში შეტანილი 24 ცვლილების აღსრულებაზე:

- ▶ საქართველოს კანონი „უმალღესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№6498-III, 25.06.2020);

- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№6287-III, 12.06.2020);
- საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№3437-IX, 20.09.2018);
- საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№5755-III, 17.03.2020);
- საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№6286-III, 12.06.2020);
- საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№5753-III, 17.03.2020);
- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№3442-IX, 20.09.2018);
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№5091-IX, 3.10.2019);
- საქართველოს კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№104-IX, 16.12.2016);
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№2148-III, 18.04.2018);
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№3041-რს, 5.07.2018);
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№2320-III, 4.05.2018);
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№3438-IX, 20.09.2018);
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№3444-IX, 20.09.2018);
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№5279-IX, 1.11.2019);
- საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

- საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№3449-ლს, 20.09.2018);
- საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№3445-ლს, 20.09.2018);
- საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№3443-ლს, 20.09.2018);
- საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№2523-ლს, 13.06.2018);
- საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№3043-რს, 5.07.2018);
- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№3442-ლს, 20.09.2018);
- საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№5696-რს, 20.19.2019);
- საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№5294-ლს, 26.11.2019).

კომიტეტმა განიხილა 340 მოქალაქის მიერ წარმოდგენილი პეტიცია – „გამოცხადდეს აკადემიურ სემესტრად 2020 წლის გაზაფხულის სემესტრი“ (№1-5603/20; 07.04.2020) და, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 203-ე მუხლის შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება პეტიციის შესაბამისი სამინისტროსთვის გაგზავნის თაობაზე.

2020 წლის განმავლობაში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა რეაგირება მოახდინა 429 წერილზე.

ბარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში:

- კომიტეტის 3 სხდომა მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვას;
- ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით კომიტეტმა პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან ერთად გამართა 1 სხდომა;

- კომიტეტმა დაასრულა თემატური მოკვლევა მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ;
- კომიტეტმა დაასრულა ელექტროძრავიან სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების აღსრულების კონტროლი;
- კომიტეტმა:
 - განახორციელა „გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის აღსრულების კონტროლი“;
 - ჩაატარა თემატური მოკვლევა „გარემოს ტყვიით დაბინძურების შეფასება საქართველოში“;
 - ჩაატარა „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გენდერული გავლენის შეფასება“;
 - განახორციელა „მწვანე ბიუჯეტის პროექტი“;
- კომიტეტთან შეიქმნა 4 სამუშაო ჯგუფი.

კომიტეტის თავმჯდომარემ ნინო წილოსანმა 73 კითხვა (პარლამენტის წევრის კითხვა) გაგზავნა. 22 კითხვას პასუხი არ გასცემია, ხოლო 7 კითხვას პასუხი ვადის დარღვევით გაეცა. კომიტეტში შემოვიდა მოქალაქეთა 125 წერილი.

დარბობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი

საკონტროლო საქმიანობის მიმართულებით კომიტეტმა გამართა არაერთი საკომიტეტო მოსმენა. მათ შორის აღსანიშნავია საკომიტეტო მოსმენები ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტების მიმდინარეობის შესახებ და სსიპ „ანარმოე საქართველოში“-ს საქმიანობის შესახებ.

კომიტეტმა განიხილა მის საზედამხედველო სფეროში შემავალი უწყებების ანგარიშები და ქვეყანაში არსებული პრობლემური საკითხების მდგომარეობა. მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის 2019 წლის ანგარიში, სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2019 წლის ანგარიში და სხვა. წარმოდგენილ ანგარიშებთან დაკავშირებით კომიტეტმა აღმასრულებელი ხელისუფლების სათანადო უწყებებისა და ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების მიმართ გასცა შესაბამისი რეკომენდაციები.

კომიტეტმა განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, აგრეთვე საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა განიხილა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის არჩევის საკითხი და საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ საქართველოს პარლამენტში ნდობის გამოსაცხადებლად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა.

კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან. გაიმართა რამდენიმე შეხვედრა პანდემიის შედეგად წარმოქმნილ გამოწვევებთან დაკავშირებით. კომიტეტი ასევე ინტენსიურად თანამშრომლობდა არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლი და ანგარიშების მოსმენა:

- სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში

ანგარიშის თანახმად, 2019 წელს საქსტატში განხორციელებული ცვლილებები და დანერგილი სიახლეები იყო: მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება და ხარისხის აუდიტი; სტატისტიკის არეალის გაფართოება; სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესება; ახალი პროდუქტების შექმნა და ახალი სერვისების ამოქმედება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილება ეხებოდა ეროვნული ანგარიშების წარმოებაში საერთაშორისო მეთოდოლოგიის (SNA 2008) დანერგვას.

კომიტეტის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებით გამოიკვეთა მოსაზრება, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სპეციფიკის გათვალისწინებლობა და მხოლოდ „უმუშევრის“ საერთაშორისო განმარტების შესაბამის დათვლის მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული სტატისტიკური კვლევები შეუძლებელს გახდიდა ვითარების სწორად გაგებას. კომიტეტის წევრების აზრით, მხოლოდ ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლა, რომლითაც არ იქნება გათვალისწინებული ქვეყნის მდგომარეობა და საჭიროებები, სტატისტიკას ეფექტიანს ვერ გახდის.

ამასთანავე, სტატისტიკური მონაცემების არასანდოობასთან დაკავშირებით კომიტეტის სხდომაზე გამოითქვა მოსაზრებები საარსებო მინიმუმის, ინფლაციისა და მინიმალური ხელფასის თაობაზე.

კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია, მომავალი წლის ანგარიშში აისახოს სრული ინფორმაცია ეროვნული ანგარიშების 2008 წლის სისტემაზე გადასვლის მიმდინარეობის, შედეგებისა და სტატისტიკური ინფორმაციის სანდოობის გაუმჯობესებისათვის განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, კომიტეტმა მხარი დაუჭირა ანგარიშის საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვას.

- ▶ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებებზე (№1-6997/20; 01.06.2020)

კომიტეტმა 2020 წლის 29 ივნისის სხდომაზე განიხილა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში. კომიტეტის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს ენერგეტიკის სექტორში არსებულ გამოწვევებზე, მათ შორის, მოთხოვნისა და იმპორტის ზრდაზე, აგრეთვე ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულება, ბაზრის გახსნის გავლენა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა და სხვა. კომიტეტმა მხარი დაუჭირა ანგარიშის საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვას.

- ▶ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის 2019 წლის ანგარიში (№1-7954/20; 17.06.2020)

კომიტეტმა 2020 წლის 6 ივლისის სხდომაზე განიხილა და დადებითად შეაფასა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის მიერ წარმოდგენილი 2019 წლის ანგარიში და სექტორების მიხედვით გასცა რეკომენდაციები ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყალმომარაგების სექტორებში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის საქმიანობის თაობაზე.

ანგარიშის ტექსტის იმ ნაწილში, რომელიც ეხება ჰიბრიდულ ტარიფებს საოჯახო ტიპის სასტუმროების შემთხვევაში, აღნიშნულია, რომ, ვინაიდან საოჯახო ტიპის სასტუმროს განმარტება საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს, წყალმომარაგების კომპანიების თანამშრომლები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას, ითვლება თუ არა ფიზიკური პირი საოჯახო ტიპის სასტუმროს მფლობელად; კერძოდ, „წყალმომარაგების კომპანიებს მიეცათ შესაძლებლობა თავისი შეხედულებისამებრ, მრავალმხრივად განმარტონ ნორმა და გაავრცელონ ნებისმიერ ფიზიკურ პირზე“; შესაბამისად, მათ ტარიფებიც აქედან გამომდინარე დაუწესდებათ. კომიტეტის მოსაზრებით, კანონმდებლობა გამართვას საჭიროებს და აუცილებელია დოკუმენტური (წერილობითი) ანალიზი იმისა, თუ როგორ ხორციელდება აღნიშნული საქმიანობა პრაქტიკაში.

ანგარიშის განხილვისას კომიტეტმა არაერთხელ დააფიქსირა მზადყოფნა სექტორული მიმართულებით სამუშაო შეხვედრების გამართვისთვის, რათა

მომხმარებელთა ინტერესების ეფექტიანად დაცვის მიზნით პარლამენტი დამატებით იყოს ჩართული სისტემაში არსებული სირთულეების აღმოფხვრასა და პრობლემების მოგვარებაში.

➤ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2019 წლის ანგარიში

კომიტეტმა 2020 წლის 1 ივნისის სხდომაზე განიხილა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2019 წლის ანგარიში და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

დადებითი ტენდენციების მიუხედავად, კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე, რომლებიც მეტ დაზუსტებას და კონკრეტულ პასუხებს საჭიროებს, კერძოდ:

- ◆ საზოგადოებრივი მაუწყებლის ტექნიკურ გადაიარაღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- ◆ „სტარტაპების“ დაფინანსების სქემის ამოქმედებაზე, რომელიც გათვალისწინებულია ბოლოს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა ანგარიშის საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვას.

ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში კომიტეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად, ახორციელებდა ზედამხედველობას მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სფეროში შემდეგი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტების გარდამავალი დებულებების შესრულებაზე:

- საქართველოს კანონი „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ (№5652-რს, 20.12.2019);
- საქართველოს კანონი „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ (№5646-რს, 20.12.2019);
- საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№5696-რს, 20.12.2019);
- საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№5693-რს, 20.12.2019);
- საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი (№3213-რს, 20.07.2018);
- საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№5706-III, 5.02.2020);

- საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№6077-III, 10.06.2020);
- საქართველოს კანონი „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№6290-III, 12.06.2020);
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№6896-რს, 15.07.2020);
- საქართველოს კანონი „საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№1818-რს, 22.12.2017);
- საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№6788-რს, 14.07.2020);
- საქართველოს კანონი „საქართველოს სარკინიგზო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№6355-III, 23.06.2020);
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№6730-რს, 2.07.2020);
- საქართველოს კანონი „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№5648-რს, 20.12.2019).

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ზედამხედველობა 14 საქართველოს კანონით განსაზღვრული 30 დავალების შესრულებაზე. მათი უმეტესობა შესრულებულია კანონებით დადგენილ ვადებში (მიღებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებები, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილებები; გამოცემულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებები).

ზემოხსენებული კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების კანონებით დადგენილ ვადებში შესრულების უზრუნველსაყოფად კომიტეტი სისტემატურად უგზავნიდა წერილებს საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის სამსახურს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას.

კომიტეტი აღნიშნული დავალებების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციას სისტემატურად აწვდიდა პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.

ამასთანავე, 2020 წლის 15 ივლისს, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფორმატში, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა

გამართა შეხვედრა საქართველოში კრეატიული ინდუსტრიების სფეროში არსებული მეკობრეობის პრობლემისა და მისი გადაჭრის გზების შესახებ. შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნა პოლიტიკის დოკუმენტი: „კრეატიული ინდუსტრიების განვითარების გამონწვევები საქართველოში“.

შეხვედრაში აქტიურად მონაწილეობდნენ კანონმდებლები, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, სასამართლოს, ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკის განმსაზღვრელი და მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები, კერძო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამასთანავე, 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე კომიტეტში შემოვიდა 216 ორგანიზაციის/უწყების წერილი და მოქალაქის განცხადება; მათ შორის, სხვადასხვა უწყებიდან და ორგანიზაციიდან მიღებულია 147 წერილი, ხოლო მოქალაქეებისგან – 69 განცხადება, რომლებზედაც კომიტეტმა რეაგირება დროულად მოახდინა.

აღნიშნული კორესპონდენცია შეეხებოდა როგორც არსებულ კანონპროექტებში ცვლილებების შეტანას და შენიშვნების გათვალისწინებას (49 განცხადება), ისე სხვადასხვა პრობლემურ საკითხს, მაგალითად, ეკონომიკისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის საკითხებს (21 განცხადება), პანდემიით გამოწვეულ კრიზისთან დაკავშირებულ პრობლემებს (10 განცხადება), მშენებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების საკითხებს (13 განცხადება), კომუნიკაციების სფეროს (11 განცხადება), კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულებას (11 განცხადება), ქონების მართვას (7 განცხადება), მსჯავრდებულებისა და მოქალაქეების საჩივრებს (29 განცხადება), პირად პრობლემებს (19 განცხადება) და სხვა. შემოსული წერილები და განცხადებები შესაბამის უწყებებს გაეგზავნა, ხოლო მათ ავტორებთან შეხვედრები და კონსულტაციები გაიმართა.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში შემოვიდა 182 განცხადება, სხვადასხვა სახის შუამდგომლობები და წერილები. ყველა განხილულ იქნა და მოხდა შესაბამისი რეაგირება.

მომზადდა არაერთი სარეკომენდაციო წერილი და შუამდგომლობა დიასპორული ორგანიზაციებისა და უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მიერ წარმოდგენილი პროექტების მხარდასაჭერად.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის წევრებმა 2020 წლის 4 თებერვლის სხდომაზე კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა დაამტკიცეს. კომიტეტის 2020

წლის სამოქმედო გეგმა საქართველოს პარლამენტის ახალი რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავდა და, საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებასთან ერთად, კომიტეტის საზედამხედველო ფუნქციის კიდევ უფრო გაძლიერებას ისახავდა მიზნად.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა გამართა არაერთი შეხვედრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან და დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორთან. შეხვედრებზე განხილულ იქნა საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ განწეული საქმიანობა, მიმდინარე პროექტები და სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებები.

აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები სისტემატურად აწვდიდნენ კომიტეტს ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დიასპორული პოლიტიკის კუთხით განხორციელებული პროექტების შესახებ. ერთობლივად დაიგეგმა საკონსულტაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სერვისების გაუმჯობესების გზები. აღსანიშნავია, რომ გამოიცვალა საელჩოსა და საკონსულტაციო შენობები ისეთ ქალაქებში, სადაც ქართული დიასპორა განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია, კერძოდ: რომში, სტოკჰოლმში, ლონდონში, სტრასბურგსა და პარიზში. ვენაში მოხდა არა მარტო საელჩოსა და საკონსულტაციო საოფისე ფართობების კეთილმოწყობა, არამედ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დიასპორის წარმომადგენლებისთვის შეთავაზებული სერვისები.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის წევრებსა და კომიტეტის აპარატს ჰქონდათ ყოველდღიური კონტაქტი და ღია თანამშრომლობა საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან. ადგილსამყოფელი ქვეყნების მიხედვით, ერთობლივად შემუშავდა ქართულ დიასპორაში არსებულ გამოწვევებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების ახალი მექანიზმები.

2020 წლის 20 მარტს კომიტეტის სხდომაზე განიხილეს მსოფლიოში გამოცხადებული პანდემიის გამო შექმნილი ვითარება და მოისმინეს ამ კუთხით საზღვარგარეთ მცხოვრები/მყოფი ჩვენი თანამემამულეების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

2020 წლის 4 აპრილს დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ბექა ოდიშარიამ და კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გივი ჭიჭინაძემ გამართეს ვიდეოკონფერენცია იმ ქვეყნების საელჩოებისა და საკონსულტაციო წარმომადგენლებთან, სადაც მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორაა (იტალია, ესპანეთი, გერმანია, ბელგია და საბერძნეთი).

2020 წლის 6 აპრილს დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა გამართა მორიგი შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. განხილულ იქნა ინფორმაცია ჩვენი თანამემამულეების ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ჩამოყვანილი მგზავრებისა და დაგეგმილი ფრენების შესახებ.

2020 წლის 25 ივნისს დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის წევრებს სსიპ – ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა მერაბ ჩუხუამ მიაწოდა ინფორმაცია ცენტრის საქმიანობის, ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან ურთიერთობის კუთხით არსებული მდგომარეობისა და გამონწვევების თაობაზე.

2020 წლის 30 სექტემბერს კომიტეტმა მოისმინა სსიპ – ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის დირექტორის ინფორმაცია კავკასიელი ხალხების დიასპორულ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან არსებული კავშირებისა და თანამშრომლობის გაღრმავების თაობაზე.

2020 წლის 14 სექტემბერს დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელების შედეგად საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისა და ჩვენი თანამემამულეების მდგომარეობა, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განეული დახმარება და დაგეგმილი ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში, საპარლამენტო კონტროლის განხორციელების ფორმატში, კომიტეტი ზედამხედველობდა საგარეო უწყების მიერ „ლევილის მამულის“ რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის კუთხით განეულ საქმიანობას.

აღსანიშნავია, რომ მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებისა და ამ მიმართულებით აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის განხორციელების მიზნით კომიტეტმა ჩაატარა ანალიტიკური სამუშაოები, გამართა ფართო ფორმატის საკომიტეტო მოსმენები და შეხვედრები მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა (IOM) და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) წარმომადგენლების მონაწილეობით.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობის მიზანია ასოცირების შესახებ შეთანხმების, ასოცირების დღის წესრიგისა და დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების კონტროლი. ამ პროცესში კომიტეტი ზედამხედველობს საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობას, აგრეთვე საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების აღსრულებას.

აღნიშნული პროცესის ეფექტიანი კოორდინაციისა და უკეთესი შედეგების მიღწევის მიზნით კომიტეტი თანამშრომლობს პარლამენტის სხვა კომიტეტებთან, რომლე-

ბიჯ მათი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული სფეროების მიხედვით პასუხისმგებელი არიან ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულებისა და შესაბამისი დარგობრივი სამინისტროებისა თუ უწყებების საქმიანობის კონტროლისთვის.

საზედამხედველო ფუნქციის განსახორციელებლად კომიტეტი როგორც ცალკე, ისე დარგობრივ კომიტეტებთან ერთად ისმენს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების პერიოდულ ანგარიშებს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე, რის შედეგადაც იგი აკონტროლებს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მათ შესრულებას და იღებს შესაბამის რეკომენდაციებს.

საკარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი დარგობრივ კომიტეტებთან ერთად შეისწავლის და განიხილავს სამოქალაქო საზოგადოების მიერ მომზადებულ ალტერნატიულ თემატურ ანგარიშებს, რომელთა მომზადებას უზრუნველყოფს „ღია საზოგადოების ფონდის“ პროექტი „ევროკავშირი-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“. ამ საქმიანობით კომიტეტი ხელს უწყობს საქართველოს ხელისუფლების მიერ აღებული ვალდებულებებისა და დაგეგმილი რეფორმების დროულად და ეფექტიანად შესრულებას/განხორციელებას, რეფორმების პროცესში საზოგადოების ჩართულობას და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე დისკუსიის წარმართვას. კომიტეტის სხდომებში მონაწილეობდნენ როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე შესაბამისი უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დარგის სპეციალისტები.

2020 წელს კომიტეტმა საზედამხედველო ფუნქციის განსახორციელებლად როგორც ცალკე, ისე დარგობრივ კომიტეტებთან ერთად მოისმინა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების 8 ანგარიში და შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა უმეტესობა უწყებების მიერ შესრულებულ იქნა.

2020 წელს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა დამოუკიდებლად და პარლამენტის სხვა კომიტეტებთან ერთად გამართა 10 საკომიტეტო მოსმენა შემდეგ საკითხებზე:

- 2020 წლის 22 მაისს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ეკატერინე დგებუაძემ წარმოადგინა სამინისტროს ანგარიში განათლების მიმართულებით ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე;
- 2020 წლის 5 ივნისს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ხატია წილოსანის ანგარიში სოფლის მეურნეობის მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის

ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;

➤ 2020 წლის 1 ივლისს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ნინო თანდილაშვილმა წარმოადგინა ანგარიში გარემოს დაცვის მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;

➤ 2020 წლის 1 ივლისს კომიტეტმა მოისმინა „ღია საზოგადოების ფონდის“ ევროინტეგრაციის პროგრამის მხარდაჭერით მომზადებული ანგარიში „საქართველო-ევროკავშირის 2017–2020 წლების ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ანგარიში – სამოქალაქო საზოგადოების შეფასება“;

➤ 2020 წლის 3 ივლისს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გენადი არველაძემ წარმოადგინა ანგარიში საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;

➤ 2020 წლის 3 ივლისს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ აკაკი საღირაშვილმა წარმოადგინა ანგარიში ტრანსპორტის დარგში განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;

➤ 2020 წლის 3 ივლისს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის დავით თვალაბეიშვილის ანგარიში ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან შეერთებით აღებული ვალდებულებების და ენერგეტიკის დარგში ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;

➤ 2020 წლის 8 ივლისს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ თამილა ბარკალაიამ წარმოადგინა სამინისტროს მიერ დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანაბარი შესაძლებლობების, აგრეთვე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროებში ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;

➤ 2020 წლის 8 ივლისს კომიტეტმა მოისმინა „ღია საზოგადოების ფონდის“ ევროინტეგრაციის პროგრამის მხარდაჭერით მომზადებული ანგარიში „საქართველო-ევროკავშირის 2017–2020 წლების ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ანგარიში – სამოქალაქო საზოგადოების შეფასება“;

➤ 2020 წლის 9 ივლისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ, გენერალური აუდიტორის მოადგილემ ეკატერინე ლაბაძემ, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა პაპუნა ლეყუაშვილმა წარმოადგინეს ანგარიში ფინანსური მომსახურების, დაბეგვრის, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულებით ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

გარდა ამისა, ევროკავშირის პროექტის „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა II“ ფარგლებში, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების მდგომარეობის განხილვის მიზნით გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობდნენ როგორც პარლამენტის აპარატის, ისე შესაბამისი სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები.

პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენის შემდეგ კომიტეტმა შეიმუშავა რეკომენდაციები და განახორციელა ამ რეკომენდაციების შესრულების კონტროლი.

ამასთანავე, 2020 წლის 5 ივნისს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება თემატური მოკვლევის „საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის გამონვევები ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის ექსპორტისას“ დაწყებისა და თემატური მოკვლევის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე. საანგარიშო პერიოდში გაიმართა თემატური მოკვლევის თაობაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის ორი სხდომა, რომლებზედაც ბიზნესსაზოგადოების წარმომადგენლებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებების მონაწილეობით განხილულ იქნა მცირე და საშუალო ბიზნესის გამონვევები ევროკავშირის ბაზარზე. თემატური მოკვლევის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა 2020 წლის 30 სექტემბერს წარედგინა პარლამენტის ბიუროს. თემატური მოკვლევის ანგარიში „მცირე და საშუალო ბიზნესის გამონვევები ევროკავშირის ბაზარზე“ შემუშავდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების პროექტის“ (AA Facility) მხარდაჭერით.

საანგარიშო პერიოდში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტში შემოვიდა მოქალაქეთა 61 წერილი. რეაგირება მოხდა ყველა წერილზე.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი

ზოგადად, საპარლამენტო ზედამხედველობის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 2020 წლის 10 ივლისს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2019 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში. კომიტეტის სხდომაზე ანგარიში წარმოადგინა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილემ ალექსანდრე ხოჭევანიშვილმა. კომიტეტისა და პარლამენტის მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოველწლიური ანგარიშის მოსმენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია უწყების დემოკრატიული კონტროლისათვის, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშვალდებულების მაღალ სტანდარტს უზრუნველყოფს. ანგარიში მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორცაა: ოკუპირებული ტერიტორიები, იქ არსებული მდგომარეობა და შესაბამისი უწყებების მიერ განეული საქმიანობა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, კონტრდაზვერვითი საქმიანობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოება, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა, ანალიტიკური საქმიანობა და უწყებათაშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობა.
- თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან გამოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია კომიტეტიდან შუამდგომლობის სახით თავდაცვის სამინისტროში გადაგზავნილ მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირების შედეგების თაობაზე.
- თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა, საქართველოს პარლამენტის რეკლამენტის 41-ე მუხლის საფუძველზე, 2020 წლის 14 თებერვალს საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია, 2016 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 14 თებერვლამდე მდგომარეობით, თავდაცვის სამინისტროს საკუთრებაში არსებული ქონების უსაფრთხოების მდგომარეობის თაობაზე (გამაფრთხილებელი ნიშნები, განალმვითი სამუშაოები, ღობის აღმართვა და სხვა), აგრეთვე იმავე პერიოდში გასხვისებული/გაცემული უძრავი ქონების მდგომარეობისა და მიღებული უსაფრთხოების ზომების შესახებ.
- კომიტეტის წევრებმა საპარლამენტო ზედამხედველობის ფარგლებში შეხვედრები გამართეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. განხილვის მთავარი თემა იყო საყოველთაო თავდაცვის სისტემის განვითარების კუთხით უწყების მიერ განხორციელებული საქმიანობა; მათ შორის, განხილულ

იქნა სამობილიზაციო და სამხედრო სარეზერვო სისტემის რეფორმირების საკითხი. ასევე საპარლამენტო ზედამხედველობის თვარგლებში კომიტეტის წევრები მონაწილეობდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დაგეგმილი სწავლებების მონიტორინგის პროცესში.

- 2020 წლის 26 თებერვალს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე განხილულ იქნა აღნიშნული კანონპროექტის ცალკეულ ნორმებთან დაკავშირებით შესაბამისი უწყებების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და წინადადებები.
- 2020 წლის 28 ივლისს, 4 აგვისტოს და 8 სექტემბერს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების სოციალური დაცვის მექანიზმების გაუმჯობესების საკითხებთან დაკავშირებით გამართა შეხვედრები, რომლებშიც შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. განიხილეს სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ მომზადებული წინადადებები, მათ შორის: საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებსა და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებისათვის ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანის სტატუსის მინიჭების შესახებ პროექტი, საქართველოს ერთიან სამობილიზაციო სისტემაში და რეზერვისტთა მომზადების პროცესში სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ჩართულობის უზრუნველყოფა და თანამშრომლობის გაღრმავება, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილე რეზერვისტებისათვის ვეტერანის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები. ასევე მოისმინეს თავდაცვის ძალების პოზიცია რეგიონული პრინციპით სარეზერვო სამსახურის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით. შეხვედრის მონაწილე მხარეთა გადაწყვეტილებით, შესაბამისი უწყებებს დაევალათ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ მომზადებული წინადადებების გაცნობა, ანალიზი და პოზიციების შეჯერება.
- 2020 წლის 22 დეკემბერს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა კომიტეტების (იურიდიულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტები) გაერთიანებულ სხდომაზე საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ მინისტრების თანამდებობებზე წარმოდგენილ კანდიდატებს მოუსმინა. თავდაცვის მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ღარიბაშვილმა, იუსტიციის მინისტრობის

კანდიდატმა გოჩა ლორთქიფანიძემ, შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა ვახტანგ გომელაურმა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატმა თეა ახვლედიანმა კომიტეტის წევრებს წარუდგინეს დეტალური ინფორმაცია შესაბამის უწყებებში განხორციელებული რეფორმების, სამომავლო გეგმებისა და დაგეგმილი რეფორმების თაობაზე.

➤ საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 159-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის შესაბამისმა უწყებებმა კომიტეტს წარუდგინეს 5 ანგარიში მათ მიერ განხორციელებული არასაიდუმლო შესყიდვების შესახებ.

➤ 2020 წელს საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფმა გამართა ერთი სხდომა, რომელზედაც განიხილა „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის ის ნაწილი, რომელიც ეხება სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ, სპეციალურ პროგრამებს და სახელმწიფო ბიუჯეტში ამ პროგრამებისათვის გასათვალისწინებელ თანხებს. ამის საფუძველზე მან შეიმუშავა დასკვნა და იგი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს გადაუგზავნა.

➤ 2020 წელს საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფში, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 159-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან შემოვიდა 17 დოკუმენტი. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 159-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან შემოვიდა ერთი დოკუმენტი და საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან – ასევე ერთი. ამასთანავე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 159-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თავდაცვის სამინისტროდან შემოვიდა ერთი დოკუმენტი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ანგარიში, რომელიც ეხება გარკვეულ პერიოდში სააგენტოს მიერ განეული საქმიანობის სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს.

ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრებმა სხვადასხვა უწყებაში 153 კითხვა გაგზავნეს. მათგან 108 კითხვას პასუხი დროულად გაეცა, 14 კითხვას – დაგვიანებით, ხოლო 31 კითხვას – არ გასცემია.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში შემოვიდა მოქალაქეთა 172 წერილი/განცხადება. მათგან რეაგირება მოხდა 135 განცხადებაზე. წერილობითი რეაგირების გარეშე დატოვებულია იმ მოქალაქეთა განცხადებები, რომლებთანაც ზეპირი გასაუბრება/კონსულტაცია გაიმართა, აგრეთვე ის იდენტური შინაარსის განცხადებები, რომლებიც ერთი და იმავე მოქალაქის მიერ არაერთხელ იქნა შემოტანილი და რომლებზე რეაგირებაც კომიტეტმა რამდენჯერმე მოახდინა.

საანგარიშო პერიოდში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრებმა მოითხოვეს ინფორმაცია შემდეგ თემებთან დაკავშირებით:

- მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების რაოდენობისა და მათში დასაქმებულ პირთა შესახებ;
- 2019 წლის იანვრიდან 2020 წლის იანვრის ჩათვლით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ გამოწერილი ჯარიმების რაოდენობისა და თანხის მთლიანი ოდენობის შესახებ;
- 2017, 2018 და 2019 წლებში შპს „სითი პარკის“ მიერ გამოწერილი ჯარიმების რაოდენობისა და თანხის მთლიანი ოდენობის შესახებ;
- რუსთავის მუნიციპალიტეტის მოქმედ ა(ა)იპ-ებში საშტატო თანამდებობებზე დასაქმებულ პირთა რაოდენობის შესახებ მოწერილ და ბიუჯეტით გათვალისწინებულ ციფრებს შორის განსხვავების თაობაზე;
- მუნიციპალიტეტების მერიებსა და საკრებულოებში შტატით დასაქმებულ პირთა და შტატგარეშე მოსამსახურეების შესახებ;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და „Human Road & Bridge Construction Group Co Ltd“-ს და „China Road and Bridge Corporation“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შესახებ;
- საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა ჯამური რიცხოვნობიდან უწყებების მიხედვით სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ პირთა რაოდენობის შესახებ (2012 წლიდან 2019 წლის ჩათვლით; თითოეული წლის ინფორმაცია ცალკე);
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2015 წლამდე პერიოდის გადაანგარიშებისა და წლების მიხედვით გადაანგარიშებულ პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობის შესახებ;
- 2012–2019 წლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების შესახებ;
- 2016 წლიდან 2020 წლის ჩათვლით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შრომის ანაზღაურებაზე, აგრეთვე საქონელსა და მომსახურებაზე გასაწევ ხარჯებთან დაკავშირებით სახელმწიფო უწყებების მიხედვით და ცალ-ცალკე წარმოდგენილი მონაცემების შესახებ;
- 2012 წლიდან დღემდე სხვადასხვა დაწესებულებასა და სახელმწიფო უწყებაში შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებაზე განეული ჯამური ხარჯის შესახებ;

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დარეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების შესახებ;
- 2020 წლის 21 ივნისს გადაცემა „დროებაში“ (ტელეკომპანია „ფორმულა“) გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით;
- საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მიერ წარმოდგენილი 2018 და 2019 წლების პროგრამული ანგარიშებისა და ფინანსური დოკუმენტების მიწოდების შესახებ;
- 2020 წლის ივნისში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან განხორციელებული გადარიცხვების შესახებ;
- 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საზღვარგარეთ შექმნილ საარჩევნო უბნებზე დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა სიის შესახებ (ქალაქების მიხედვით);
- სამხედრო მოსამსახურეების საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა განიხილა საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის და 6 თვის მიმოხილვები, აგრეთვე „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“. აღნიშნულ საკითხებზე კომიტეტის 3 სხდომა გაიმართა.

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განხილვისთვის კომიტეტმა ერთი სხდომა გამართა. მომდევნო სხდომაზე კომიტეტმა განიხილა „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული მასალები და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამისი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, აქტიურად იყო ჩართული „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განხილვისა და მიღების პროცესში. სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ვერსიის განხილვისას კომიტეტმა გასცა რეკომენდაციები მისი საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული უწყებებისათვის საბიუჯეტო ასიგნებების გაზრდის თაობაზე, ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სხვადასხვა პროგრამისა თუ ქვეპროგრამის მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით.

კომიტეტმა განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური

ანგარიში“, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველკვარტალური ანგარიშები და საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

საპარლამენტო კონტროლის განხორციელების მიზნით კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისთან და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან.

კომიტეტი აქტიურად ახორციელებდა ანგარიშვალდებული სახელმწიფო ორგანოების საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯვასთან დაკავშირებით მოსალოდნელი ოპერაციების წინასწარ გაცნობას და საპარლამენტო კონტროლს, აგრეთვე მათ მიერ განხორციელებული ან/და დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგს.

კომიტეტმა განახორციელა ზედამხედველობა პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი საქართველოს კანონების შესრულებაზე:

- „იარაღის შესახებ“;
- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“;
- „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

საპარლამენტო კონტროლის ფარგლებში იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა კანონმდებლობის შესაბამისად განიხილა საქართველოს მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხი და სხვადასხვა უწყების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები (საპარლამენტო კონტროლთან დაკავშირებული 7 საკითხი), შეიმუშავა დასკვნები და ცალკეულ შემთხვევებში გასცა რეკომენდაციები. კერძოდ, 2020 წელს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა:

- საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხი და სამთავრობო პროგრამა (სამთავრობო პროგრამა 2021–2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“) (№07-2/7/10; 18.12.2020);
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის 2019 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში (№1-3742/20; 28.02.2020);

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში (№1-5469/20; 01.04.2020);
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2019 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში (№1-5776/20; 15.04.2020);
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ 2019 წლის ანგარიში (№1-5465/20; 31.03.2020);
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ 2019 წლის ანგარიში (№1-5466/20; 31.03.2020);
- „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს IX და X გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების“ პროექტი (№07-2/468; 01.05.2020).

კომიტეტმა განიხილა თანამდებობის პირების განწესებასთან დაკავშირებული 5 საკითხი, მათ შორის:

- საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატის, ნინო ქადაგიძის, კომიტეტის სხდომაზე მოსმენა;
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის ასარჩევად წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი კანდიდატის კომიტეტის სხდომაზე მოსმენა. 2020 წლის 20 მარტს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საჯარო სხდომაზე მოუსმინა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლედ ასარჩევად წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ კანდიდატს, გოჩა ლორთქიფანიძეს. მანამდე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შესატანი იმ ცვლილებების შემუშავებასა და ინიცირებაში, რომლის მიხედვითაც წარიმართა აღნიშნული კანდიდატის კომიტეტის სხდომაზე მოსმენა და მისი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლედ ასარჩევად წარდგენის თაობაზე პარლამენტის მიერ გადაწყვეტილების მიღება. აღსანიშნავია და საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო

სასამართლოს რომის წესდების მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეაზე 2020 წლის დეკემბერში გოჩა ლორთქიფანიძე არჩეულ იქნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლედ;

- საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენილი საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატის, ირაკლი შოთაძის, კომიტეტის სხდომაზე მოსმენა;
- საპროკურორო საბჭოს 1 შეუვსებელ ვაკანსიაზე საპროკურორო საბჭოს წევრის ასარჩევად გამოცხადებული ხელახალი კონკურსის თარგლებში საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ კანდიდატთან, თეა ჭეიშვილთან, დაკავშირებით წარმოდგენილი საბუთების განხილვა და კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დადგენა;
- საპროკურორო საბჭოს წევრად ასარჩევად საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ კანდიდატთან, ლილი გელაშვილთან, დაკავშირებით წარმოდგენილი საბუთების განხილვა და კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დადგენა.

2020 წლის განმავლობაში კომიტეტს წარედგინა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეაგირება მოხდა დაინტერესებულ პირთა 1367 განცხადებაზე/წერილზე.

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი

2020 წლის განმავლობაში რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის წევრებმა პარლამენტის წევრის კითხვის უფლებამოსილება 76-ჯერ გამოიყენეს. ამ კითხვებს პასუხის გაცემაზე პასუხისმგებელი ორგანოების შესაბამისი რეაგირება მოჰყვა.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა განიხილა მოქალაქეთა 217 წერილი და მოახდინა სათანადო რეაგირება.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 87 წერილი გაგზავნა. მოქალაქეებსა და უწყებებს გაეცათ პასუხი ან/და აღნიშნული წერილები რეაგირებისთვის შესაბამის უწყებებს გადაეცა.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა გამართა საკომიტეტო მოსმენები, რომლებშიც საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, აგრეთვე სამინისტროების სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლები და კურატორი მოადგილეები მონაწილეობდნენ:

- „ბოლო პერიოდის განმავლობაში ოკუპირებულ აფხაზეთში განვითარებული პროცესები“;
- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის „დემინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევის ჯგუფის“ ანგარიშის მოსმენა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ 2019 წლის ანგარიში (№1-5466/20/9);
- საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს IX და X გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების“ პროექტის (№07-2/468; 01.05.2020) განხილვა;
- საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის“ (№07-2/473; 25.05.2020) განხილვა;
- საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციის (№07-2/480; 29.05.2020) განხილვა;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მიმოხილვა;
- „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მე-3 ციკლის ფარგლებში საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს ეროვნული ანგარიში 2020-ის“ პროექტი (№07-2/504; 17.08.2020);
- საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ საქართველოს პარლამენტში ნდობის მისაღებად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა (სამთავრობო პროგრამა 2021–2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“).

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე ზედამხედველობის მიზნით საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის (№07-2/484; 09.06.2020) განხილვა;
- „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული მასალებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამისი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (№07-2/525; 01.10.2020) განხილვა;
- საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის“ (№07-2/473; 25.05.2020) განხილვა;
- საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციის (№07-2/480; 29.05.2020) განხილვა;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მიმოხილვა.

საკროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

- კომიტეტი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და კომიტეტის დებულების შესაბამისად ახორციელებდა ცალკეული კანონებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების კონტროლს, რისთვისაც აქტიურად თანამშრომლობდა პარლამენტის სხვა კომიტეტებთან და უგზავნიდა მათ სათანადო შეხსენებებს მათი კომპეტენციის სფეროსთვის მიკუთვნებულ დავალებათა თაობაზე. კომიტეტის მიერ მოპოვებული და სხვა კომიტეტებიდან მიღებული ინფორმაციების შესწავლის საფუძველზე მომზადდა და პარლამენტის ბიუროს გაეგზავნა ინფორმაციები საქართველოს კანონებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

- სხვა კომიტეტებიდან მიღებული ინფორმაციების გაანალიზებისა და აღრიცხვის შემდეგ კომიტეტი ამზადებდა და საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე ყოველი თვის დასაწყისში ათავსებდა ინფორმაციას, რითაც პარლამენტის კომიტეტებსა და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, მიეღოთ ინფორმაცია როგორც მიმდინარე, ისე მომდევნო თვეში შესასრულებელი და შესრულებული დავალებების შესახებ.
- კომიტეტი რეგულარულად ახორციელებდა საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადანყვეტილებებით განსაზღვრული დავალებების დადგენილ ვადებში შესრულების კონტროლს. კომიტეტის მიერ მოპოვებული, სხვა კომიტეტებიდან და დეპარტამენტებიდან მიღებული ინფორმაციების შესწავლის საფუძველზე მომზადდა და პარლამენტის ბიუროს გაეგზავნა ინფორმაციები საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ მიღებული გადანყვეტილებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე.
- 2020 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა 135 საქართველოს კანონით განსაზღვრული 306 დავალების შესრულების კონტროლი, რომელთა ნაწილი საანგარიშო პერიოდში უნდა შესრულებულიყო, ნაწილი კი – წინა პერიოდში. ხორციელდებოდა ასევე 2 საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრული დავალებების შესრულების კონტროლი. აღნიშნული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ კომიტეტის მიერ მოპოვებული და სხვა კომიტეტებიდან მიღებული ინფორმაციების შესწავლის საფუძველზე მომზადდა და პარლამენტის ბიუროს გაეგზავნა ინფორმაციები საქართველოს კანონებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ, 2020 წლის 16 ივნისისა და 2020 წლის 11 დეკემბრის მდგომარეობით.
- 2020 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადანყვეტილებებით განსაზღვრული 58 დავალების შესრულების კონტროლი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულებულია. კომიტეტის მიერ მოპოვებული, სხვა კომიტეტებიდან და დეპარტამენტებიდან მიღებული ინფორმაციების შესწავლის საფუძველზე მომზადდა და პარლამენტის ბიუროს გაეგზავნა ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ მიღებული გადანყვეტილებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე, 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდისთვის. ინფორმაცია განხილულია და ცნობად არის მიღებული საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ.

- 2020 წლის განმავლობაში საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტში შემოვიდა მოქალაქეთა 45 განცხადება. კომიტეტმა შეისწავლა აღნიშნული განცხადებები და მოახდინა შესაბამისი რეაგირება. მათგან 20 განცხადებაზე მომზადდა და გაიგზავნა პასუხები.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

კომიტეტმა მოისმინა პარლამენტისადმი ანგარიშვალდებული ორგანოების 29 სხვადასხვა სახის ანგარიში და განიხილა 5 საბიუჯეტო განაცხადი.

2020 წელს კომიტეტში შემოვიდა მოქალაქეებისა და ორგანიზაციების 419 წერილი და განცხადება, რომლებზედაც მოხდა სათანადო რეაგირება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი მუდმივად ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს, კერძოდ:

- სახაზინო სამსახური კომიტეტს ელექტრონული ფოსტით გადასცემს ყოველდღიურ ინფორმაციას შემოსავლების შესახებ, მოკლე საბალანსო ცხრილს შემოსავლებისა და გადასახდელების შესახებ.
- სახაზინო სამსახური საქართველოს პარლამენტს ყოველთვიურად წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის სრულ ანგარიშს, შემოსულობების, გადასახდელების, დეფიციტისა და მისი დაფინანსების წყაროების ჩვენებით, და დეტალურ ინფორმაციას ხაზინის ერთიან ანგარიშზე განთავსებული სახელმწიფო, აუზნაობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების შესახებ, სახეებისა და წყაროების მიხედვით.
- ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვეში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით.
- საქართველოს ეროვნული ბანკი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს ყოველთვიურად წარუდგენს არააუდიტირებულ საბალანსო უწყისებს, საანგარიშგებო თვის ბოლო სამუშაო დღის მდგომარეობით.
- განხორციელდა კომიტეტში შემოსული ყველა ზემოაღნიშნული ინფორმაციის დინამიკაში დაკვირვება, შესწავლა, ანალიზი და შესაბამისი მასალები წარედგინა კომიტეტის ხელმძღვანელობას.

ამასთანავე, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა საზედამხედველო უფლებამოსილების განხორციელების თარგვლებში:

- 2020 წლის 4 ივნისის კომიტეტის სხდომაზე მოისმინა „საქართველოს ეროვნული ბანკის 2019 წლის წლიური ანგარიში“;
- 2020 წლის 30 ივნისის კომიტეტის სხდომაზე მოისმინა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში“;
- 2020 წლის 9 ივლისის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან ერთად მოისმინა „ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2019 წლის სამოქმედო გეგმიდან ფინანსურ მომსახურებასთან, დაბეგვრასთან, ბულალტრულ აღრიცხვასთან და აუდიტთან დაკავშირებით ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ ანგარიშები.

ამასთანავე, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განმხილველმა მუდმივმოქმედმა აუდიტის ჯგუფმა საანგარიშო პერიოდში გამართულ სხდომებზე განიხილა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი 21 ანგარიში შესაბამისი 180 რეკომენდაციით. განხილული ანგარიშების რაოდენობა 2019 წლის ანალოგიური პერიოდის შესაბამის მაჩვენებელს 75%-ით აღემატება, ხოლო რეკომენდაციების რაოდენობა – 165%-ით. აუდიტის ჯგუფს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისათვის წარდგენილი აქვს შესაბამისი რეკომენდაციების პროექტები.

საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების პროცესიდან გამომდინარე, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა 2020 წლის ივნისში განიხილა საქართველოს პარლამენტისა და პარლამენტთან არსებული ორგანიზაციების, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საბიუჯეტო განაცხადები და მოამზადა შესაბამისი დასკვნები და გადანყვეტილებები.

სკორტისა და ახალგაზრდულ საქმიანობა კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში კომიტეტმა უზრუნველყო შემდეგი ძირითადი ღონისძიებების განხორციელება:

- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის შესაბამისად, თიბიკურ და სპორტულ აქტივობებში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდასთან დაკავშირებით თემატური მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის დანიშვნის საკითხის განხილვა;
- 2019 წელს მიღწეული სპორტული შედეგების, აგრეთვე ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში განხორციელებული საქმიანობისა

და პოსტკრიზისული გეგმის თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციის მოსმენა;

- ▶ განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ანგარიშის მოსმენა;
- ▶ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პერიოდული ანგარიშების მოსმენა და საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა;
- ▶ ანგარიშვალდებული უწყებებისა და სპორტული ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებულ და პრობლემატურ საკითხებზე ინფორმაციის მოსმენა.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში შემოვიდა 180-მდე განცხადება. კომიტეტმა ყველა განცხადება შეისწავლა და რეაგირების მიზნით შესაბამის უწყებებს გადასცა. განცხადებების ძირითადი თემატიკა იყო სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში არსებული გამოწვევები, აგრეთვე კომიტეტის წევრებთან შეხვედრები.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში კომიტეტის წევრებმა 123 კითხვა გაგზავნეს.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

კომიტეტში შემოვიდა 1200-მდე განცხადება და წერილი. მათგან მოქალაქეთა 600-მდე განცხადებაზე მოხდა რეაგირება (უმრავლესობას გაეცა წერილობითი პასუხი, ხოლო ნაწილი შესაბამისი საფუძვლით ცნობად იქნა მიღებული). განცხადებების უმეტესი ნაწილი ეხებოდა მკურნალობის დაფინანსებისა და სოციალური დაცვის თემატიკას, აგრეთვე მოქალაქეთა, მათ შორის, დევნილების, საცხოვრებლით უზრუნველყოფისა და დასაქმების საკითხებს.

მიღებული კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის კუთხით ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა:

- ▶ მიმდინარეობდა ორი კანონის („თამბაქოს კონტროლის შესახებ“ და „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონების) აღსრულების კონტროლი (ნააკ).

კომიტეტის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების

მდგომარეობის თაობაზე“ (№07-3/440, 04.03.2020), რომლის განხილვა დაგეგმილია საგაზაფხულო სესიაზე.

ნააკ-ის ფარგლებში შემუშავდა მეორე კანონის – „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესახებ ანგარიშის პროექტი. შემდგომ სამუშაო ჯგუფმა დაიწყო მუშაობა წამლის ახალ კანონმდებლობაზე. ჯგუფი ინტენსიურად თანამშრომლობდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებთან. მათ მიერ მოწოდებულ იქნა კონკრეტული, პრაქტიკული შენიშვნები და რეკომენდაციები, რომელთა უდიდესი ნაწილი აისახა კანონპროექტში. კანონპროექტთა პაკეტი ინიცირების პროცესშია.

- კომიტეტში შექმნილია „ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და პრევენციის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო“, რომლის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობდა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მონიტორინგი. გაიმართა საბჭოს 2 სხდომა.
- 2020 წლის 8 ივლისს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანაბარი შესაძლებლობების, აგრეთვე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროებში ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.
- USAID/GGI-ს ხელშეწყობით, პოლიტიკის და მენეჯმენტის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) ექსპერტის ჩართულობით, კომიტეტმა განახორციელა ორი სახელმწიფო პროგრამის – „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ და „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგი/ფინანსური ანალიზი და შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტები.
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 6 საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების დადგენილ ვადებში შესრულების მონიტორინგი:
- „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№5128-ლს, 16.10.2019);
- „შილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№5461-ლს, 11.12.2019);
- საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (№5204-ლს, 18.10.2019);

- „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№5468-ის, 11.12.2019);
- „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№5462-ის, 11.12.2019);
- „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№5467-ის, 11.12.2019).

3. საპარლამენტო ურთიერთობები

საერთაშორისო დონეზე საპარლამენტო კავშირების გაძლიერება იყო საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა. პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეების, მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების, მეგობრობის ჯგუფების, კომიტეტებისა და პარლამენტის აპარატის მონაწილეობით პარლამენტის აქტიურობა საერთაშორისო არენაზე ემსახურებოდა შემდეგ მიზნებს:

- სტრატეგიული და მეგობარი ქვეყნების პარლამენტებთან ურთიერთობების გაღრმავებას;
- საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცებას;
- ოკუპირებული რეგიონების არალიარების პოლიტიკის წარმატებით განხორციელების წახალისებას;
- საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული საგარეო-პოლიტიკური მიზნების – ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის ხელშეწყობას;
- დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების უზრუნველსაყოფად უცხოელი პარტნიორების მხარდაჭერის მოზილიზებას;
- ქვეყნისთვის კრიტიკულ საკითხებზე საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მოზილიზებას, მნიშვნელოვან მოვლენებზე საგარეო კომუნიკაციას;
- პარლამენტის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას.

ამ მიზნების მისაღწევად დაგეგმილი საქმიანობა პანდემიის გამო მნიშვნელოვნად შეფერხდა, ვინაიდან მკვეთრად შეიზღუდა ორმხრივი საპარლამენტო ვიზიტები და საერთაშორისო ფორმატებში მონაწილეობა, გაუქმდა საქართველოში და საზღვარგარეთ დაგეგმილი საპარლამენტო ღონისძიებების უმრავლესობა. შესაბამისად, ტრადიციული მეთოდებით საპარლამენტო დიპლომატიის აქტიურად წარმოება შეუძლებელი გახდა.

თუმცა საქართველოს პარლამენტმა შეძლო პანდემიის შედეგად წარმოქმნილ გამოწვევებთან გამკლავება და ცვალებად გარემოსთან ადაპტირება. ფიზიკური მონაწილეობის ნაცვლად, პარლამენტის წარმომადგენლები დისტანციურად მონაწილეობდნენ ღონისძიებებში, რომელთა რაოდენობაც 2020 წლის მეორე ნახევრიდან ეტაპობრივად გაიზარდა. თავდაპირველად მათ უშუალოდ, პანდემიის პირობებში კი – სატელეფონო ზარებისა და შეხვედრების ონლაინპლატფორმების გამოყენებით აქტიური კავშირი ჰქონდათ უცხოელ კოლეგებთან და მონა-

წილებდნენ მრავალმხრივ საპარლამენტო ფორმატებში, მათ შორის, ეუთოს, ევროპის საბჭოს, ნატოს, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობისა და სხვა ორგანიზაციების საპარლამენტო ასამბლეებსა და ამ ასამბლეების კომიტეტებში. ასევე აღსანიშნავია, რომ პანდემიის დაწყებამდე საქართველოს პარლამენტმა მალაიზიის პარლამენტის თავმჯდომარეს უმასპინძლა.

პროფესიონალიზმის ამაღლებისა და მეგობარ პარლამენტებთან კავშირების განმტკიცების მიზნით საქართველოს პარლამენტის აპარატის წარმომადგენლები აგრძელებდნენ მონაწილეობას (პანდემიამდე – ფიზიკურად, ხოლო პანდემიის დაწყების შემდეგ – ონლაინრეჟიმში) ისეთ ფორმატებში, როგორცაა „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ წევრი ქვეყნების პარლამენტების აპარატების უფროსების ქსელი, „კონგრესის დემოკრატიული პარტნიორობის“ პროგრამა, „ღია სამყაროს ლიდერთა ცენტრის“ პროგრამა და სხვა. ამასთანავე, ხელი მოეწერა საქართველოს პარლამენტის აპარატსა და თურქეთის დიდი ეროვნული ასამბლეის ადმინისტრაციას შორის ურთიერთვაგების მემორანდუმს.

ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით საქართველოს პარლამენტი აგრძელებდა მჭიდრო თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და თბილისში განთავსებულ უცხო ქვეყნების საელჩოებთან.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრა პარლამენტს ეკისრება. ამ მიზანს ემსახურებოდა 2020 წლის 29 დეკემბერს საქართველოს X მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომლითაც ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ შემდეგი ოთხი წლისთვის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები განსაზღვრა.

4. საქართველოს პარლამენტის აპარატი

ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად საქართველოს პარლამენტში განხორციელებული ღონისძიებები

ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პარლამენტის აპარატი განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ პარლამენტის აპარატი გადავიდა დისტანციური მუშაობის ფორმატზე;
- ✓ დაინერგა საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემომსვლელ პირთა უსატოხოების სტანდარტი (თერმოსკრინინგი, ხელების დეზინფექცია და პირბადის სავალდებულო ტარება);
- ✓ შენობა აღიჭურვა სადეზინფექციო დისპენსერებით;
- ✓ თვეში ორჯერ ტარდებოდა შენობის სადეზინფექციო სამუშაოები;
- ✓ საქმისწარმოების მიმართულებით მოქალაქეთა მომსახურება დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა;
- ✓ დამუშავდა და აპარატის თანამშრომლებს მიენოდათ პარლამენტის ელექტრონული სერვისების სახლიდან გამოყენების ინსტრუქცია;
- ✓ პარლამენტის წევრები და აპარატის თანამშრომლები აღიჭურვნენ დისტანციური შეხვედრებისათვის საჭირო შესაბამისი ელექტრონული პროგრამით;
- ✓ პარლამენტის სასწავლო ცენტრმა აამოქმედა დისტანციური სწავლების სერვისები.

ინფრასტრუქტურული პროექტები

- ✓ დასრულდა საქართველოს პარლამენტის სასახლეში ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქართული პარლამენტარიზმის მუზეუმის შექმნა. მუზეუმში დაყოფილია 5 სივრცედ, სადაც განთავსებულია საქართველოში პარლამენტარიზმის განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ექსპონატების ასლები. მუზეუმი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით და განკუთვნილია მნახველთა ფართო წრისთვის. სივრცე ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. თითოეული სივრცისთვის დამზადდა თემატური დოკუმენტური ფილმი, ასევე გადაღებულ იქნა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ქართული პარლამენტარიზმის ისტორიის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის სამუზეუმო სივრცე საქართველოში მანამდე არ არსებობდა;

- ✓ მოეწყო საპარლამენტო სუვენირების სივრცე. პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე, სპეციალურად დამზადებულ, თანამედროვე საექსპოზიციო ვიტრინებში გამოიფინა საპარლამენტო სუვენირები. ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ, ერთ სივრცეში დაათვალიერონ და გაეცნონ სხვადასხვა მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარეებისთვის გადაცემული საპარლამენტო სუვენირების ისტორიასა და აღწერილობას.

პარლამენტის სასწავლო ცენტრი

- დაინერგა ხარისხის მართვის მექანიზმი;
- განხორციელდა 6-თვიანი სტაჟირების პროგრამა 24 მონაწილისთვის;
- პარლამენტის ისტორიაში პირველად დაინერგა დისტანციური სტაჟირების პროგრამა – კონკურსის წესით შეირჩა 5 სტაჟიორი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, რომლებმაც დისტანციურად გაიარეს 6-თვიანი სტაჟირების პროგრამა;
- ჩატარდა 77 ტრენინგი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო აპარატის 313-მა თანამშრომელმა.

საჯარო ინფორმაციის თავისუფლება

2020 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (I□□I) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 2019 წლის მონაცემებით, საქართველოს პარლამენტის აპარატმა საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების კუთხით ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის 100%-იანი მაჩვენებლით პირველი ადგილი დაიკავა. 100%-იანი შედეგი მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის გამოქვეყნების მიხედვით.

ციფრული პროექტები

- ✓ შეიქმნა დისტანციური სწავლების პორტალი – lms.parliament.ge, რომელიც პარლამენტის წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, მათთვის სასურველ დროსა და სივრცეში, შეზღუდვის გარეშე გაიარონ ნებისმიერი სასწავლო კურსი;
- ✓ შეიქმნა დისტანციური სწავლების პორტალის მობილური აპლიკაცია – PTC Mobile. ამჟამად პლატფორმაზე ატვირთულია 6 ელექტრონული სასწავლო კურსი. აპლიკაცია საპილოტე რეჟიმში მუშაობს;

- ✓ განახლდა მობილური აპლიკაცია – Geo Parliament, რომელიც გათვლილია სმარტფონებსა და პლანშეტურ კომპიუტერებზე. მობილურ აპლიკაციაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია იხილოს მისთვის სასურველი კანონპროექტი, პარლამენტის კალენდარი, პარლამენტის დღის წესრიგი, კენჭისყრის შედეგები. აქვე განთავსებულია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი და საქართველოს კონსტიტუცია. ამჟამად აპლიკაცია საპილოტე რეჟიმში მუშაობს;
- ✓ დასრულდა შინაარსობრივი მუშაობა საქართველოს პარლამენტის განახლებულ ვებგვერდზე. ინოვაციური ვებგვერდის კონცეფცია ითვალისწინებს დისტანციური, ელექტრონული სერვისების სიმრავლეს. მათ შორის აღსანიშნავია ონლაინჩატის ფანჯარა და პარლამენტის კომიტეტების სხდომებზე დასწრების მსურველთა ელექტრონული რეგისტრაცია. ამჟამად პროექტზე საბოლოო ტექნიკური სამუშაოები ხორციელდება.

აპარატის საერთაშორისო მიმართულება

საქართველოს პარლამენტის აპარატსა და თურქეთის დიდი ეროვნული ასამბლეის ადმინისტრაციას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც წინასწარ იდენტიფიცირებულ თემებზე მხარეთა ინტენსიურ თანამშრომლობას ითვალისწინებს.

თანამშრომლობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატთან

გაგრძელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატთან თანამშრომლობა თანამშრომელთა გადამზადების მიმართულებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის 30-მა თანამშრომელმა გაიარა პარლამენტის სასწავლო ცენტრის დისტანციური სწავლების პორტალზე განთავსებული, სხვადასხვა თემატიკის 6 კურსი.

ღია პარლამენტი

2020 წელს, ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულების შესაბამისად, პარლამენტის ბიუროს წარედგინა და პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ღია პარლამენტის 2018-2019 წლების ორწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებიდან სრულად განხორციელდა 19, უმეტესწილად – 3, ნაწილობრივ – 10, ხოლო 5 აქტივობა არ განხორციელდა.

2020 წლის განმავლობაში სამოქმედო გეგმის შესაბამისად:

ა) გამოქვეყნდა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგისათვის საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. ანგარიში ასახავს პარლამენტის მიერ 2019 წლის ივნისიდან 2020 წლის თებერვლამდე პერიოდში კანონშემოქმედების, საბიუჯეტო პროცესის, ზედამხედველობისა და მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებებით განხორციელებულ აქტივობებს;

ბ) საქართველოს პარლამენტის მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის კონცეფციით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაბამისად:

- შემუშავდა მოქალაქეთა მისაღების მომსახურების სტანდარტის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტით დეტალიზებულია „ერთი ფანჯრის“ მომსახურების პრინციპი, რაც უფრო ეფექტიანს გახდის მოქალაქეებისთვის სერვისის მიწოდებას და გაზრდის სტრუქტურულ ერთეულებს შორის შიდა კოორდინაციისა და კომუნიკაციის ხარისხს;
- შეიქმნა ვიზიტორთა პროგრამა, რომელიც მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. პროგრამის მეშვეობით უზრუნველყოფილია საზოგადოებისათვის პარლამენტარიზმის ისტორიის, პარლამენტის ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. განხორციელებული პოზიტიური ცვლილებებიდან გამომდინარე, ვიზიტორთა პროგრამას დაემატა ორი ადგილი: მოქალაქეთა მისაღები და ქართული პარლამენტარიზმის მუზეუმი. ვიზიტორთა პროგრამა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის პარლამენტის მიერ მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით დანერგული სიახლეებისა და პარლამენტარიზმის ისტორიის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების უზრუნველსაყოფად მომზადდა სხვადასხვა შინაარსის საინფორმაციო-შემეცნებითი პუბლიკაციები;
- საქართველოს პარლამენტის აპარატსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის თარგმლებშიც სამინისტროს მმართველობის ქვეშ არსებულ 69 საზოგადოებრივ ცენტრში საქართველოს პარლამენტისთვის გამოყოფილ სივრცეში განთავსდა სპეციალურად დამზადებული საინფორმაციო სტენდები, რომლებიც აღიჭურვა საინფორმაციო ბეჭდური მასალით. 70-ე სტენდი განთავსდა საქართველოს პარლამენტის სასახლეში – მოქალაქეთა მისაღების სივრცეში;
- დაიგეგმა და განხორციელდა ბიუჯეტის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში მოქალაქეების ჩართულობის ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებები, მათ შორის, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა

საქართველოს პარლამენტის უკუკაბი

მომზადა სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ ანგარიში, რომელიც პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. მასში ასახულია ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის საკომიტეტო განხილვაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის საკითხი.

5. საქართველოს პარლამენტის 2021 წლის სამოქმედო გეგმა

2021 წლისთვის საქართველოს პარლამენტი გეგმავს:

1. კანონშემოქმედებითი მიმართულებით, ისეთ მნიშვნელოვან რეფორმებზე მუშაობას, როგორცაა: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმა; საქართველოს საარჩევნო კოდექსის რეფორმა; კულტურის კოდექსის შემუშავება; ფერმერული მეურნეობების შესახებ საკანონმდებლო პაკეტის მომზადება და სხვა მნიშვნელოვანი პროექტები;
2. საპარლამენტო ზედამხედველობის კუთხით, მინისტრის საათის ფორმატში საქართველოს მთავრობის წევრებისა და პრემიერ-მინისტრის მოსმენას. გაიმართება საკომიტეტო მოსმენები მინისტრების მონაწილეობით. ჩატარდება თემატური მოკვლევები. პარლამენტი განიხილავს საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ანგარიშს. ნდობის ჯგუფის ფორმატში გაიმართება საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების მოსმენა და სხვა;
3. საერთაშორისო ურთიერთობებისა და საპარლამენტო დიპლომატიის მიმართულებით, ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატების აქტიურად გამოყენებას, საპარლამენტო დელეგაციების მივლინებას საპარლამენტო ასამბლეებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, მეგობრობის ჯგუფების მიღებას და მივლინებას მეგობარ ქვეყნებში, საპარლამენტო დელეგაციების ვიზიტებს პარტნიორ ქვეყნებში, საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობას და სხვა;
4. ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით, აპარატის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელებას, კიბერუსაფრთხოების რისკებთან მიმართებით საინფორმაციო-ელექტრონული სისტემის დაცულობის უზრუნველყოფას, საზოგადოებასთან ურთიერთობის სერვისებისა და ინტერასტრუქტურის გაუმჯობესებას, ახალგაზრდების ინფორმირებას და პარლამენტის საქმიანობაში მათი ჩართულობის გაზრდას, სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ინტერასტრუქტურის შემდგომ ადაპტირებას და სხვა. აგრეთვე, პარლამენტი გეგმავს საპარლამენტო საბჭოების, მათ შორის, ბავშვის უფლებათა დაცვის, ღია მმართველობის და გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოების, ფარგლებში აქტიურ საქმიანობას.

